პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! [illegible]

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: პას. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

ოთხშაბათი
9
მაისი
1934 წ.
№ 106 (3962)

დღეს ნომერში

- — თეთრგვარდიელთა მორიგი მარცხი მანჯურიაში.
- — ლატვიელ ჟურნალისტთა დელეგაცია ფრიად კმაყოფილია საბჭოთა კავშირში მოგზაურობით.
- — ესპანეთს მოედო გაფიცვების მძლავრი ტალღა.
- — უცხოეთის მუშათა დელეგაცია ამხ. კალინინთან.
- — ლენინგრადში გაიხსნა ტრამვაელთა მეოთხე საკავშირო ყრილობა.
- — საბჭოთა მფრინავებმა დაამყარეს ახალი მსოფლიო რეკორდი.
- — საქართველოში 5 მაისისათვის მოკრეფილი იყო [illegible] კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.
- — 5 მაისს მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის გამომუშავების გეგმა შესრულებულია 92,5 პროცენტით.

საბჭოთა კანონის შეურყევლობა სოციალისტური უფლებრივი შეგნების საფუძველია

ისე, როგორც არასოდეს, გაიზარდა მშრომელთა ფართო მასების ნდობა პარტიის პოლიტიკისადმი და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებისადმი საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. გიგანტური სამეურნეო აღმავლობის და მუშათა და კოლმეურნეთა მატერიალური დონის აწევის საფუძველზე, ადგილი აქვს მათ კულტურულ საჭიროებათა უზარმაზარ ზრდას, გადიდებულ მოთხოვნებს ყველა საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციისადმი.

ყველაფერი ეს, მოცემულ ეტაპზე კლასობრივი ბრძოლის თავისებურებებთან ერთად, განსაზღვრავს სოციალისტური კანონიერების მნიშვნელობას და შინაარსს ამჟამად. სოციალისტური კანონიერება თავისი მახვილით მიმართულია ქურდების და მავნებლების წინააღმდეგ, ხულიგნებისა და საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ „ჯერ კიდევ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, რომელიც ცდილობს გამოაცოცხლოს და მხარი დაუჭიროს კაპიტალიზმის ნაშთებს საბჭოთა კავშირის ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში და რომლის წინააღმდეგაც ჩვენ, ბოლშევიკებს, თოფის წამალი ყოველთვის მშრალი უნდა გვქონდეს“ (სტალინი).

ყველაზე უფრო განშტოებული საბჭოთა აპარატი რომელიც მოწოდებულია უშუალოდ, ყოველდღიურად განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება — ეს არის სასამართლოს ორგანოები და პროკურატურა. მათ რევოლუციურ სიფხიზლეზე, მათ მუშაობაზე არის, პირველ რიგში, დამოკიდებული, თუ როგორ ხორციელდება საბჭოთა კანონები. საბჭოთა სახელმწიფოს მთელი აპარატის მიერ, მათ შორის სასამართლოს და პროკურატურის მიერ, მაგრამ არის ამოდებული ლაგამი პროლეტარიატის და კოლმეურნე გლეხობისადმი მტრული ელემენტებისათვის, მაგრამ ეს ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის ყველაფერი ის, რაც მოეთხოვება პროლეტარულ სასამართლოს, იუსტიციის ორგანოებს.

ლენინს არა ერთხელ მიუთითებია, რომ პროლეტარული სასამართლო ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო ექსპლოატატორების დასათრგუნავად. ლენინი წერდა: „სასამართლოებს, თუ ისინი მართლაც მოწყობილი არიან საბჭოთა დაწესებულებების პრინციპის მიხედვით, ეკისრება მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა. ეს ამოცანაა მშრომელთა დისციპლინის და თვითდისციპლინის უსასტიკესი გატარება... იძულების გარეშე ასეთი ამოცანის შესრულება ყოვლად შეუძლებელია. პროლეტარულ სახელმწიფოს ორგანოს, რომელიც ასეთ იძულებას განახორციელებს, უნდა წარმოადგენდეს საბჭოთა სასამართლოები. და მათ ეკისრება უდიდესი ამოცანა — აღზარდონ მოსახლეობა შრომის დისციპლინის საფუძველზე“.

ფრიად დროულია ამჟამად დავიხსომოთ ლენინის ეს მითითებანი. ჩვენს წინაშე მეორე ხუთწლედში დგას უდიდესი ამოცანა გარდავქმნათ მრავალი ათეული მილიონი კოლმეურნე, გუშინდელი ერთპიროვნული მეურნეები, მუშათა ახალი ფენები, ავწიოთ ისინი პროლეტარიატის მოწინავე ფენების პოლიტიკურ დონემდე, გადავაქციოთ ყველა მშრომელი უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრაზე, ეს ნიშნავს კაპიტალისტური ნაშთების აღმოფხვრას უფლებრივი შეგნების დარგშიც. ბურჟუაზია იძულების სასტიკი ზომებით ქმნიდა მათრახზე დამყარებულ დისციპლინას, ინდივიდუალისტურ ჩვევებს. ამიტომ განამტკიცო და აღზარდო სოციალისტური უფლებრივი შეგნება — ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ასწიო უდიდეს სიმაღლეზე თვითეულ მშრომელში პატიოსნად მუშაობის მოვალეობის შეგნება და მტკიცე რწმენა მის უფლებათა უზრუნველყოფასა და დაცვაში.

ყოველი მუშა და კოლმეურნე უნდა გრძნობდეს, რომ იგი საბჭოთა კანონების მფარველობის ქვეშ იმყოფება, რომ საბჭოთა სახელმწიფო მთელი თავისი ძლიერებით იცავს მის შრომას, მისი ყოფაცხოვრების უფლებრივ პირობებს, რომ მისი უფლების დარღვევის არც ერთი ცდა კაპიტალისტური კლასების ნაშთების და გადაგვარებული ელემენტების მხრივ, რომელნიც შეპარული არიან საბჭოთა აპარატში, დაუსჯელი არ დარჩება.

სოციალისტური უფლებრივი შეგნების საფუძველს წარმოადგენს საბჭოთა კანონების სოციალისტური უფლებრივი წესრიგის სიმტკიცე და ურყევლობა. „სულ მცირე უკანონობა, საბჭოთა წესების სულ მცირე დარღვევა, — წერდა ლენინი, — უკვე არის ხვრელი, რომელსაც დაუყოვნებლივ გამოიყენებენ მშრომელთა მტრები“.

აქედან ცხადია, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა აწევა საბჭოთა იუსტიციის ორგანოებს სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

განა მოსათმენია, რომ გამომძიებელი — ეს ძირითადი რგოლი სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მთელ მუშაობაში, — უკანასკნელ წლებში გაქრა პროკურატურის თვალთახედვის არედან?

კვლევაძიების უხეიროდ ჩატარებას შედეგად მოსდევს საქმეთა დიდი რაოდენობის უკან დაბრუნება დამატებითი გამოძიებისათვის. ეს ასუსტებს სასამართლოს განაჩენის პოლიტიკურ ეფექტს, მის რეპრესიულ და აღმზრდელობით ზემოქმედებას.

საბჭოთა გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უნდა შესწევდეთ უნარი საქმიანად გაერკვენ კონკრეტულ ვითარებაში, არ გაუშვან მხედველობიდან არცერთი დეტალი კვლევაძიების და გასამართლების პროცესში. მარტო ერთგულება და კლასობრივი ალღო ახლა საკმარისი არ არის. ისინი უნდა იყვნენ კულტურული მუშაკნი, სპეციალური ცოდნით აღჭურვილნი, რომ უფრო მაღლა ასწიონ პროლეტარულ სასამართლოს ავტორიტეტი, რომ უფრო ღრმად განამტკიცონ მასების ნდობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი. საბჭოთა სახალხო სასამართლო მხოლოდ ამ შემთხვევაში დასჯის დაუზოგავად კლასობრივ მტრებს და შეასრულებს სოციალისტური უფლებრივი შეგნების განმტკიცების საპატიო ამოცანას, შეასრულებს მშრომელი მასების შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმომფხვრელი ერთერთი იარაღის როლს.

მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიას ათეული წლების მანძილზე თავი მოჰქონდა „წესრიგით“ და „საზოგადოებრივი უშიშროებით“, რომლებიც მან დაამყარა ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ საფუძვლებზე. ეს „წესრიგი“ ყოველთვის იყო ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წესრიგი. მხოლოდ ოპორტუნისტებს, მენშევიკურ ლაქიებს და ბურჟუაზიის დამქაშებს შეეძლოთ ეფიქრონ, რომ ეს წესრიგი ურყევია და რომ მას პირდაპირი გზით მივყევართ სოციალიზმში „მშვიდობიანი შეზრდისაკენ“.

ლენინი ითვალისწინებდა, რომ გადამწყვეტი კლასობრივი ბრძოლების მოახლოვებისას, მუშათა მასების მხრივ მორჩილების თავის დაღწევის პირველი ცდებისთანავე, ბურჟუაზია უკუაგდებს კანონიერების და ბურჟუაზიული „უფლებრივი წესრიგის“ შირმას და გადავა მშრომელი მასების დათრგუნვის აშკარა ტერორისტულ ფორმებზე.

განა დამახასიათებელი არ არის, რომ ახლა „კურთხეულ“ შვეიცარიაშიც კი, „წყნარ“ და „მშვიდობიან“ დანიაშიც კი ბურჟუაზია სპობს მის მიერვე დაწესებულ „დემოკრატიულ კანონიერებას და ცვლის მას მუშათა დათრგუნვის ფაშისტური ფორმებით. ასეთია ორი კლასის, ორი ისტორიული გზის ბედი: პროლეტარიატის ძლევამოსილმა დიქტატურამ საბჭოთა კავშირში გაანადგურა ექსპლოატატორები და, ემყარება რა ხალხის უფართოესი მასების სიყვარულს და ნდობას, სოციალისტური მშენებლობის უდიდეს გამარჯვებებს, საბჭოთა სახელმწიფოს მთელ ძლიერებას, იგი ამაგრებს და აფართოებს სოციალისტურ უფლებრივ წესრიგს, ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნებში მომაკვდავი და ძირმომპალი ბურჟუაზია კაპიტალისტური წყობილების ხსნას ეძებს საშუალო საუკუნეობრივობისაკენ დაბრუნებაში, პროლეტარული მასების გაუსამართლებლად ხოცვლით და მათთან ანგარიშის სასტიკად გასწორებაში.

(„პრავდის“ 8 მაისის მოწინავე წერილიდან)

ბოლო უნდა მოეღოს ხე-ტყის მრეწველობის უმსგავსო ჩამორჩენას

ძალზე ცუდად მუშაობს საქართველოს ხე-ტყის მრეწველობა. საწარმოო გეგმები წლიდან წლამდე შეუსრულებელი რჩება, დამზადებული ხე-ტყის თვითღირებულება კი იზრდება.

1932 წლის გეგმა ხე-ტყის გამოზიდვის დარგში შესრულებულია 56 პროცენტით, 1933 წლის გეგმა კი 74 პროცენტით.

წიწვიანი ჯიშის დახერხილი მასალის თვითღირებულება 1933 წელში, 1931 წელთან შედარებით, გაიზარდა 100,8 პროც., წიფელას მასალის თვითღირებულება—32,2 პროც., შეშის—179,4 პროცენტით.

არც 1934 წელში. პირველი კვარტალის გეგმა დამზადების (ხის მოჭრის) დარგში შესრულდა 84,9 პროც., გამოზიდვის დარგში—55 პროც., სამასალე ხეები დაცურებულია გეგმის 75,6 პროც., შეშა კი—მხოლოდ 10,3 პროცენტით.

აპრილში მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად გაუარესდა. დამზადების გეგმა შესრულებულია 27 პროცენტით, გამოზიდვის—22 პრ., დაცურების—10,6 პროცენტით. აპრილში 13 სახერხ ქარხნიდან, რომლებსაც აერთიანებს საქ. სატყეო ტრესტი, გეგმა მთლიანად არც ერთს არ შეუსრულებია.

რაშია ამ უმსგავსო მდგომარეობის მიზეზი? შეიძლება სატყეო მრეწველობა წელს უფრო ცუდ პირობებშია ჩაყენებული, ვიდრე წინა წლებში იყო?

სრულიადაც არა. საგრძნობლად გაუმჯობესდა მასალების და სურსათის მომარაგება, გაძლიერდა საკუთარი ტრანსპორტი, დაბოლოს, საკავშირო სახკომსაბჭოს 1933 წლის 19 ნოემბრის დადგენილებამ კოლმეურნეობებთან და ერთპიროვნულ მეურნეებთან ხელშეკრულებების დადების შესახებ მძლავრი იარაღი მისცა ხელში სატყეო მრეწველობას, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა ყველა სატყეო სამუშაოს მუშახელით უზრუნველყოფა.

მაგრამ საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის ტრესტმა თავისი მოუქნელი მუშაობის წყალობით ვერ შესძლო ამ იარაღის გამოყენება, სახელშეკრულებო კამპანია ფაქტიურად ჩაშლილია. ტყის რაიონების პარტიულ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს კოლმეურნეობების და ერთპიროვნულ მეურნეების [illegible] მობილიზაცია ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობდა [illegible]. სახელშეკრულებო კამპანიის ჩაშლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე ხელფასის დიდმა დავალიანებამ, რომელიც ტრესტის ხაზით მილიონ ნახევარ მანეთამდე აღწევს.

ცუდია ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავეთა საყოფაცხოვრებო პირობები, ადგილი აქვს ხელფასის „მემარცხენო“ გათანაბრებას. არ არსებობს გამომუშავების ზუსტი ნორმები, ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ ხე-ტყის სამუშაოები არ არის უზრუნველყოფილი მუშა-ხელით. აპრილში ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობდა მუშათა საჭირო რაოდენობის მხოლოდ 27 პროცენტი, გამოზიდვაზე—10,5 პროც., ხოლო დაცურებაზე 10,4 პროც.

ხე-ტყის სამუშაოებზე, განსაკუთრებით კი დაცურებაზე მცირეა კომუნისტების რიცხვი. ამიტომ სავსებით დროული და მიზანშეწონილია საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება ხე-ტყის დაცურებაზე პარტიულ-მასობრივი მუშაობის გაშლის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად, ყველა კომუნისტი და კომკავშირელი, რომელთაც კი აქვთ დაცურების მუშაობის გამოცდილება, ხე-ტყის დამზადების და გამოტანის სამუშაოდან გადაყვანილი უნდა იქნენ დაცურებაზე იმ ანგარიშით, რომ ყველა ისინი მუშაობდენ უშუალოდ წარმოებაში (მორების შეკვრის, დატვირთვის, ჯამოგორების ბრიგადებში, მოტორიანი ფლოტის ექსპლოატაციაზე და ტივებზე).

მაისის შუა რიცხვებიდან გაიშლება ხე-ტყის მასობრივად დაცურება. მდ. ინგურით, კოდორით, მტკვრით, რიონით და სხვა მდინარეებით დიდძალი ხე-ტყე უნდა წამოვიდეს.

ხე-ტყის დაცურება მოითხოვს დიდი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას, აპარატის სწრაფ და მოქნილ მუშაობას, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, სადაც მდინარეების დონე სწრაფად იწევს და ეცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია დიდი დანაკარგები.

დაცურებისათვის სამზადისი ცუდათაა ჩატარებული, ზოგან კი სრულებით არ უფიქრიათ ამაზე. ადგილებს არ ყავთ მეტივეთა საკმაო კადრები, არ აქვთ საჭირო მოწყობილობა. შეკეთებული არ არის გზები, რომლითაც უნდა ხდებოდეს დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა ტყიდან მდინარის პირამდე. საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება არც ტრანსპორტი. აპრილში საქ. სატყეო ტრესტის ხაზით მდინარის პირამდე მოზიდული უნდა ყოფილიყო სულ 53.215 კუბომეტრი ხე-ტყე, ფაქტიურად მოზიდულია 11.028 კ. მ. გეგმის 20,7 პროცენტი.

დაცურება იწყება ზამთარში—ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ შეიგნეს დღემდე საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის მუშაკებმა და ტყის რაიონების პარტიულ ორგანიზაციებმა. სწორედ ზამთარში უნდა იქნას ჩატარებული იმ მუშაობის უდიდესი ნაწილი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დამზადებული ხე-ტყის უდანაკარგოდ გამოტანა და დაცურება.

რა არის საჭირო, რომ წარმატებით ჩავატაროთ დაცურების მიმდინარე სეზონი?

ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყველა შინაგან რესურსების მობილიზაცია, დამცურებელ პუნქტებისათვის საჭირო მოწყობილობის და სურსათის დროზე მიწოდება, მუშა-ხელის, განსაკუთრებით კი იმ ძველი გამოცდილი მუშების შეგროვება, რომლებიც წინად ხე-ტყის დაცურებაზე მუშაობდნენ, მაგრამ რომელთა დამაგრება ვერ შესძლეს დამცურებელმა ორგანიზაციებმა.

„დაცურება, როგორც ხე-ტყის დამზადებაც,—კლასთა ბრძოლის საპასუხისმგებლო უბანია“ („პრავდა“). იმისათვის, რომ გავიმარჯვოთ ამ ფრონტზე, საჭიროა სწორად გავანაწილოთ ძალები, მაქსიმალურად გავაძლიეროთ სიფხიზლე, დაუზოგავად ვამხილოთ კულაკების აგენტურა, ფართოდ გავშალოთ სოცშეჯიბრება დამკვრელობა დამცურებელ მუშათა შორის. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ხე-ტყის მრეწველობა ვერ ასრულებს გეგმებს, მდგომარეობს პროფორგანიზაციების ცუდ მუშაობაში სოცშეჯიბრება-დამკვრელობის დარგში.

საქართველოს ხე-ტყის მრეწველობა უმსგავსოდ მუშაობს. ამ უმსგავსობის ძირითადი მიზეზი მარხია იმ ორგანიზაციული ხასიათის დეფექტებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი საქ. სატყეო ტრესტის მუშაობაში. ეხებოდა რა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ამხ. **კაგანოვიჩი**, მე-17 პარტყრილობაზე ამბობდა: „საერთოდ ამ სახალხო კომისარიატს საკუთარი თავისებურებები აქვს. იგი ცოტათი „სატყეო“ სახალხო კომისარიატია, მაგრამ **კავშირი სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატსა და ნამდვილ ტყეს შორის უაღრესად სუსტი და არადამაკმაყოფილებელია.** სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატიდან სატყეო უბნამდე და ტყის დასაცურებელ პუნქტამდე ძალიან დიდი მანძილია. და ეს ხდება იმიტომ, რომ თვით სახალხო კომისარიატში ადგილობრივი ორგანოების სამმართველო აბნეული და უპასუხისმგებლოა, ვინაიდან განკარგულებას იძლევა ყველა, ვისაც კი არ ეზარება“.

ეს სიტყვები ზედგამოჭრილია საქ. სატყეო ტრესტზეც. მე-17 ყრილობიდან საკმაო დრო გავიდა, სატყეო ტრესტში კი ჯერ არავითარი გარდაქმნა არ ჩატარებულა. მთელი ეს უზარმაზარი კანცელარიული მანქანა კვლავ ძველებურად მუშაობს, ადგილები მოკლებული არიან კონკრეტულ დახმარებას. ცოცხალი ოპერატიული ხელმძღვანელობა შეცვლილია ცირკულიარებით და ბრძანებებით. დაუსრულებლივ წრიპინებენ კალმები და შრიალებენ მაგიდებზე ქაღალდები. ხე-ტყის დამზადების საქმე კი ძალიან ცუდად მიდის.

ნუ თუ დრო არ არის პრაქტიკულად დაიწყოს სატყეო ტრესტის აპარატის გარდაქმნა, მისი ძირა საწარმოო რგოლებთან დაახლოვება? სატყეო მრეწველობა შევიდა ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდში. მაისმა უნდა დაამტკიცოს, **ასრულებენ თუ არა ხე-ტყის მრეწველობის დარგში** მომუშავე ბოლშევიკები პარტიის მე-17 ყრილობის დადგენილებებს.

თეთრგვარდიელთა მორიგი მარცხი მანჯურიაში

ბეიპინი, 8 მაისი. ხარბინიდან იუწყებიან, რომ თეთრგვარდიელები შეეცადენ საპირველმაისო დღესასწაული გამოეყენებიათ მორიგი პროვოკაციებისათვის. მიუხედავად ამისა, დღესასწაული აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მთელს ხაზზე, **აგრეთვე ხარბინში დიდი ენტუზიაზმით და უინციდენტოდ ჩატარდა.** ხარბინში საბჭოთა საკონსულო, სავაჭრო წარმომადგენლობა, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ყველა დაწესებულება, სადგური დეკორატიულად მორთული და გაჩირაღდნებული იყო. თეთრგვარდიელთა გაზეთები ცდილობდენ დაემტკიცებიათ, რომ ქალაქში ყველა მაღაზია ღია იყო. ამავე დროს, „რუპორი“, ჯერ კიდევ 2 მაისს იძულებული გახდა აღეარებინა: „დღეს დილიდანვე ქალაქი პირველი მაისის სულით იყო გაჟღენთილი. საბჭოთა მოქალაქეების ბევრი მაღაზია დაკეტილი იყო“. რკინის გზის ყველა კლუბში სპეციალურად იჯარით აღებულ კინო - თეატრში 30 აპრილს შესდგა საზეიმო კრებები, მოხსენებებით. **კლუბები დეკორირებული იყო ლენინის და სტალინის სურათებით, საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის მაკეტებით, დიაგრამებით.** კრების მონაწილეებმა საბჭოთა მთავრობას გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც ესალმებიან საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას; დეპეშები გაუგზავნეს აგრეთვე დამკვრელ მუშებს, კოლმეურნეებს და პარტიის ბელადს ამხ. **სტალინს.** 1 მაისს რკინის გზის ყველა კლუბში, გაიმართა საბავშვო დილები, პირველს და ორს საღამოთი — წარმოდგენები.

ანალოგიურად ჩატარდა პირველი მაისი მთელს ხაზზე. ამხ. **სლავუცკიმ** აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის, ხაზის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან მიიღო მისასალმებელი დეპეშები თხოვნით გადასცეს საბჭოთა მთავრობას, რომ ისინი მზად არიან მოახმარონ თავისი ძალღონე საბჭოთა კავშირს. ქუჩებში, კლუბებში მორიგეობდენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები. ფაშისტებმა გამოუშვეს ანტისაბჭოთა ფურცელი, მოაწყეს სპეციალური კრება. საბჭოთა კრებებზე პოლიციის მიერ ნებადართული იყო მხოლოდ ერთი ორატორის მოხსენება. მაშინ, როცა თეთრგვარდიელებს შეეძლოთ გამოეყვანათ იმდენი ორატორი, რამდენსაც ისინი მოისურვებდენ. (ადს).

ესპანეთს მოედო გაფიცვების მძლავრი ტალღა

პარიზი, 7 მაისი. როგორც მადრიდიდან იტყობინებიან, საყოველთაო გაფიცვა სარაოსაში უკვე 35 დღე გრძელდება: გაჭირვებამ და შიმშილმა ვერ გასტეხეს გაფიცულთა შეუპოვრობა.

გაფიცულთა მრავალმა ასეულმა ბავშვმა თავშესაფარი ჰპოვა ბარსელონის და სხვა ქალაქების მშრომელთა ოჯახებში. მადრიდში გრძელდება მელითონეთა საყოველთაო გაფიცვა. ელჩაში საყოველთაო გაფიცვა, რომელიც გამოცხადებულია კრევილენტში გამართული ანტიფაშისტური დემონსტრაციის დროს ორი მუშის მოკვლის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, მოედო 10 ათას მუშას. პუერტოლიანოში მიმდინარეობს საყოველთაო გაფიცვა გაფიცულ მაღაროელებთან სოლიდარობის გამოცხადების ნიშნად. პუიმსერდაში მუშები შეიჭრენ საპყრობილეში, საიდანაც მათ გაათავისუფლეს პოლიტპატიმარნი (ადს).

ლატვიელ ჟურნალისტთა დელეგაცია კმაყოფილია

საბჭოთა კავშირში მგზავრობით

რიგა, 7 მაისი. დღეს საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა ლატვიელ ჟურნალისტთა დელეგაცია. დელეგაციის ყველა წევრი უაღრესად კმაყოფილია გამგზავრებით. დელეგაციის ხელმძღვანელმა „ლატვიას კარეივისის“ პასუხისმგებელმა რედაქტორმა **პოლკოვნიკმა** პლენსნერმა ჩვენს კორესპონდენტს განუცხადა:

„საბჭოთა კავშირში გამგზავრებამ ლატვიელ ჟურნალისტებს ბევრი რამ მისცა. ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა გვენახა ის, რის შესახებაც აქამდის ხშირად ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობები მოგვეპოვებოდა. ჩვენ დავინახეთ, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა წინათ ტექნიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის ტექნიკურ შესაძლებლობათა განვითარებას. ჩვენ დავრწმუნდით, რომ უკვე უდიდესი შედეგებია მიღწეული. ერთ-ერთი კოლმეურნეობის დათვალიერებით ჩვენ უკვე მივიღეთ ერთგვარი წარმოდგენა სამიწათმოქმედო შრომის მექანიზაციის მეთოდებზე. და, ბოლოს, ჩემზე, როგორც სამხედრო პირზე, უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა 1 მაისის აღლუმმა და დემონსტრაციამ, რომლებმაც ცხადჰყო, თუ რა განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა კავშირში სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და მისი ინტერესების დაცვისადმი არმიის როგორც მორალური, ისე ტექნიკური სიმძლავრის განუწყვეტელი გადიდების გზით. არმიას, რომლიოზედაც დაუღალავად ზრუნავს მთავრობა და, რომელიც სარგებლობს საზოგადოებრივობის სიმპატიებით, შეუძლია იყოს და უნდა იყოს კიდეც მეტად ძლიერი“.

დასასრულ პოლკოვნიკმა პლენსნერმა კიდევ ერთხელ აღნიშნა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა, რომელიც ლატვიის დელეგაციის მიმართ გამოიჩინეს საბჭოთა ჟურნალისტებმა და მწერლებმა. პლენსნერმა განსაკუთრებით აღნიშნა ჟურნალო - საგაზეთო გაერთიანების თავმჯდომარის კოლცოვის და იმ დაწესებულებათა როლი, რომლებმაც ხელი შეუწყეს ლატვიელი ჟურნალისტების გამგზავრებას და საბჭოთა კავშირის პრესის და ბალტიკის სახელმწიფოთა პრესის ურთიერთგაგებას, რასაც საფუძვლად უდევს საერთო ინტერესები. (ადს).

ბერლინში ჩავიდა იაპონელ ოფიცერთა ჯგუფი

ბერლინი, 7 მაისი. დღეს ჩამოვიდა იაპონელ ოფიცერთა ჯგუფი ვიცე-ადმირალ **მატუციტას** მეთაურობით.

მატუციტა იაპონელი ელჩის თანხლებით უკვე დღეს მიიღო **ჰინდენბურგმა**. ინტერვიუში „ანგრიფის“ წარმომადგენელთან მან აღნიშნა, რომ ის და მისი თანამგზავრები განსაკუთრებით მეგობრულად მიიღეს გერმანიაში და განაცხადა: „იმედი მაქვს, რომ ბანკეტზე, რომელსაც მართავს გერმანია — იაპონიის საზოგადოება, ეს გულითადი გრძნობა მიიღებს სპეციფიურ ელფერს, ვინაიდან ბანკეტში მონაწილეობენ ნაციონალ - სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენლები. ჩვენ, იაპონელები, დიდი თანაგრძნობით და სიხარულით ვადევნებთ თვალყურს გერმანიის განვითარებას, ვინაიდან ჩვენ გვაქვს მისწრაფებანი, რომლებიც ძლიერ წააგავს ნაციონალ - სოციალისტური პარტიის მისწრაფებებს“. (ადს).

საბჭოთა კავშირში

უცხოელ მუშათა დელეგაცია ამხ. კალინინთან

მოსკოვი, 7 მაისი. 7 მაისს ამხ. კალინინმა, მიიღო კრემლში საპირველმაისო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში ჩამოსულ უცხოელ მუშათა დელეგაცია. მეგობრულ საუბარში, რომელიც 2 ნახ. საათს გრძელდებოდა, მონაწილეობა მიიღო 22 ქვეყნის ორასმა დელეგატმა. ამხ. კალინინის სიტყვებს, დელეგატები დაძაბული ყურადღებით ისმენდენ და ხშირად წყვეტდენ მხურვალე ტაშით. გამოთხოვებისას, უცხოელმა ამხანაგებმა ამხ. კალინინს მქუხარე ოვაცია გაუმართეს.

საუბარში მონაწილეობდა აგრეთვე საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ამხ. **აბოლინი.** საუბრის შემდეგ უცხოელმა მუშებმა დაათვალიერეს კრემლი. (ადს).

გაიხსნა ტრამვაელთა საკავშირო ყრილობა

ლენინგრადი, 6 მაისი. 6 მაისს აქ გაიხსნა ტრამვაელთა მეოთხე საკავშირო ყრილობა. მოხსენებით გამოსულმა კომუნალური მეურნეობის სახკომის წარმომადგენელმა ამხ. კლეიმანმა აღნიშნა, რომ ახლა ტრამვაი არის უკვე რ. ს. ფ. ს. რ.-ის 35 ქალაქში. 11 ქალაქში ტრამვაი აგებულ იქნა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ტრამვაის ქსელი 1.120 კილომეტრიდან გაიზარდა 1.985 კილომეტრამდე. გადაყვანილ მგზავრთა რიცხვი 554 მილიონიდან გაიზარდა 3.972 მილიონამდე.

ყრილობამ მოისმინა აგრეთვე ინჟენერების კნერელის და სპივაკის მოხსენებანი ტრამვაის მოძრაობის და მისი ხელმძღვანელობის დისპეტჩერული სისტემის რაციონალური ორგანიზაციის შესახებ. არსებითად ნამდვილი მეცნიერულად დასაბუთებული ორგანიზაცია არის მხოლოდ ორ ქალაქში — ლენინგრადსა და ხარკოვში. ყრილობა ურჩევს საბჭოთა კავშირის ყველა დანარჩენ ქალაქებს, რომელთაც აქვთ ტრამვაის მეურნეობა, გადაიღონ ლენინგრადისა და ხარკოვის გამოცდილება და გადაიყვანონ თავისი ტრამვაი მოძრაობის მტკიცე განრიგზე. (ადს).

გმირი ჩელიუსკინელები „სმოლენსკზე“

გემი „სმოლენსკი“, 7 მაისი. დღეს, 7 მაისს, მფრინავ ვოდოპიანოვთან ერთად მივფრინდით პროვიდენიეს უბეში. გზადაგზა მოვახდინეთ საქმიანი გამოკვლევა ბერინგის სრუტის ჩრდილო - დასავლეთ ნაწილისა ლავრენტის უბიდან პროვიდენიეს უბემდე. გამოირკვა, რომ მთელ ამ უბანზე სუფთა წყალია, შესაძლებელია გემების თავისუფლად გასვლა ლავრენტის უბემდე.

დღის 12 საათისათვის პროვიდენიეს უბეში შევიდა გემი „სმოლენსკი“ და ჩაუშვა ღუზა რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ჩელიუსკინელთა საზამთრო ბანაკიდან.

დროს დაუკარგავად, თვითმფრინავ შ-2 დახმარებით, დავუკავშირდით „სმოლენსკის“ ხელმძღვანელობას და მაშინვე დავიწყეთ ნარტებით გადაყვანა ჩელიუსკინელებისა, რომელთათვისაც მომზადებულ იქნა კარგად მოწყობილი ბინა, აბანო და სადილი. დღეს მიყვანილი და სანდამუშავებაში გატარებული იქნა 25 კაცი, ხვალ გავატარებთ დანარჩენებს. ფრენისათვის არახელსაყრელი ამინდის გამო თვითმფრინავები არ მუშაობენ.

სამეულის თავმჯდომარე პეტროვი.

ახალი მსოფლიო რეკორდი

მოსკოვი, 7 მაისი. მიღებულია დაწვრილებითი ცნობები საბჭოთა მფრინავების ახალი გამარჯვების შესახებ. თავდაცვაავიაქიმის სამარის სამხარეო საბჭოს ავიაციის განყოფილების უფროსის ამხ. **პოპოვის** მეთოდით, პლანერი, რომელსაც მართავდა კომკავშირელი **რუდინი**, ოთხი წუთის განმავლობაში ბუქსირზე იქნა აყვანილი თვითმფრინავ „უ-2“-ის მიერ. რომელსაც მართავდენ პილოტები **ბოროვსკი** და **პოპოვი**. თვითმფრინავი მიფრინავდა 120 კილომეტრის სისწრაფით საათში. დასჭირდა მხოლოდ 60-მეტრიანი მოედანი. პლანერი თვითმფრინავის მიერ აყვანილ იქნა 700 მეტრის სიმაღლემდე, იქ სიგნალით მოიხსნა და გადავიდა თავისუფალ ფრენაზე.

პლანერის ბუქსირზე აყვანა თვითმფრინავის ჩამოუშვებლად ახალი მსოფლიო რეკორდია, რომელიც საბჭოთა თვითმფრინავებმა დაამყარეს. (ადს).

შევასრულოთ ამხ. სტალინის მითითება სამედიცინო განათლების შესახებ

(თათბირი საქ. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტში)

7 მაისს საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის კულტურის და პროპაგანდის განყოფილებაში ამხ. **ე. ბედიას** თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში სამედიცინო განათლების მდგომარეობის და მისი შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე.

შესავალ სიტყვაში ამხ. ბედიამ აღნიშნა, თუ რა მიზნებს ისახავს თათბირი, რომლის შედეგები განხილულ იქნება საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, იმ მითითებებთან დაკავშირებით, რომლებიც ამხ. **სტალინმა** მოგვცა მე-17 პარტყრილობაზე.

თათბირზე მოსმენილ იქნა საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის ამხ. **ვაწაძის,** სომხეთის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის ამხ. **ოვანესიანის** და აზერბეიჯანის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის ამხ. **ჰუსეინოვის** ინფორმაცია.

სამედიცინო ინსტიტუტების დირექტორთა ინფორმაციის გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის იმ ბრიგადის წევრებმა, რომელმაც ჩაატარა გამოკვლევა. ერევნის ინსტიტუტში და ტფილისის ინსტიტუტში—ამხ. **ოვანოვმა** და ამხ. **ჯიჯაძემ,** საქართველოს და სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტების კულტურის და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილებათა გამგეებმა ამხ. **კ. ორაგველიძემ** და ამხ. **აროსიანმა,** ა.-კ. სახკომსაბჭოს და საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო კომისიის გამგემ—ამხ. **ფრანგულიანმა,** ა.კ. რკინის გზის საგზაო სანიტარული განყოფილების გამგემ—ამხ. **შავერდოვმა,** საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარემ—ამხ. **ლეჟავამ,** საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტმა—ამხ. **შუშანიამ,** საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილემ—ამხ. **მამალაძემ** (ტფილისის მე-2 ქალაქის საავადმყოფო), **კორძახიამ** და ანდღულაძემ (ტფილისის სამედიცინო ინსტიტუტი).

კამათში გამოსულებმა მკაცრად გააკრიტიკეს მთელი რიგი დეფექტები, რომლებსაც ადგილი აქვთ სამედიცინო განათლების საქმის დაყენებაში. თათბირზე **გამოირკვა:** მრავალსაგნიანობა სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებში, სპეციალური საგნებისათვის დათმობილი დროის არასაკმარისობა, საგნების დაქსაქსულობა, პროფესორთა და მასწავლებელთა კადრების, კაბინეტების და ლაბორატორიების მოწყობილობათა არასაკმარისობა, სახელმძღვანელოების უქონლობა ან სიმცირე ნაციონალურ ენებზე.

აღნიშნულ იქნა აგრეთვე სტუდენტების გადაჭარბებით დატვირთვა, მათი პოლიტიკური აღზრდის დაბალი დონე, ექსპერიმენტებისადმი ზერელე დამოკიდებულება ცალკე შემთხვევებში, არათანამიმდევრობა საგნების გავლაში და სხვ..

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამედიცინო განათლების მთავარ პრობლემას — ნამდვილი მაღალხარისხოვანი ექიმების მომზადებას.

შეაჯამა რა გამოსვლების შედეგები, ამხ. **ბედიამ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთოდ სამედიცინო განათლება ამიერ-კავკასიაში ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ დგას. ამ საქმეს საკმაო ყურადღებას არ აქცევდენ მთელი რიგი ორგანიზაციები, არადამაკმაყოფილებელი იყო აგრეთვე ჯანმრთელობის სახ. კომისარიატების ხელმძღვანელობა სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლების მიმართ.

ამხ. ბედია დაწვრილებით შეეხო ამიერ-კავკასიის სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებში სამედიცინო განათლების საქმის დაყენების და სტრუქტურის გაუმჯობესების, სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობის გაუმჯობესების, მატერიალური ბაზის გაძლიერების, სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებში ასპირანტთა რიცხვის გადიდების, მისაღებთა შორის პარტფენის გადიდების, სამეცნიერო მივლინებათა სისტემის შემოღების და სხვ. ამოცანებზე.

აკად. ნ. ი. მარის იუბილესათვის

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, აკადემიკოს ნ. ი. მარის 45 წლის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ლენინგრადის მატერიალური კულტურის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტმა მიმდინარე წლის აპრილს გამოსცა აკადემიკოს მარის უახლოეს თანამშრომელთა და მოწაფეთა სტატიების კრებული. იგი მიძღვნილია როგორც იუბილიარისადმი, ისე ენის და მატერიალური კულტურის შესწავლის საკითხებისადმი. რომლებსაც იგი ამუშავებს.

იმავე ინსტიტუტმა გამოსცა აკადემიკოს მარის რჩეული ნაშრომების 5 ტომეულის პირველი წიგნი, რომლის სათაურია „იაფეტური თეორიის განვითარების ეტაპები“.

სამეცნიერო აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალის კავკასიის მცოდნეობის ინსტიტუტში დასმულია საკითხი იუბილიარის ძირითადი ნაშრომების ქართულ ენაზე გამოცემის შესახებ.

უახლოეს მომავალში გამოვა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებული, სადაც მოთავსებული იქნება სტატიები იმ საკითხებზე, რომლებსაც ნ. ი. მარი ეხება თავის ნაშრომებში, და აგრეთვე იუბილიარის სრული ბიოგრაფია (ადს).

ლიტველი ჟურნალისტების ჩამოსვლა ტფილისში

ჟურნალ-გაზეთების გაერთიანების თავმჯდომარის ამხ. **კოლცოვის მოწვევით** მოსკოვში 30 აპრილს ჩამოსული ლიტველი ჟურნალისტების ჯგუფი, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში მოგზაურობს, გუშინ ღამით ტფილისს ჩამოვიდა.

ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ლიტვის პრესის ხელმძღვანელი მოღვაწენი: ბ-ნი **ტარაუსკასი** (ლიტვის დეპეშათა სააგენტოს დირექტორი), **შეინიუსი** (ოფიციოზის რედაქტორი), **სტეპონაიკისი** (სამხედრო პრესის წარმომადგენელი), **გერუტისი** („ლეტუვოს კალეისი“) **კარლიასი** („ლეტუვოს ჟინიოსის“ მთავარი რედაქტორი), **ბრუჟასი** („ბუსუ ლეტევოსის“ რედაქტორი), **პალეცკისი** (ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი), **პისევიჩესი** („ლიტოვეს აიდასის“ წარმომადგენელი), **კალნენასი** („ტრიმიტასის“ რედაქტორი), **გრუშასი** („რიტასის“ წარმომადგენელი), **უჟდავინისი** („ბუსუ ვილნაუსის“ რედაქტორი), **პოლეცკისი** (მემელი, „ოსტ ზებეობახტერი“).

ლიტველ ჟურნალისტებს ახლავს ს. ს. რ. კ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დასავლეთის 1-ლი განყოფილების გამგის თანაშემწე ამხ. **ფეჩნერი.**

სადგურზე ლიტველ ჟურნალისტებს შეხვდენ: ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მდივანი ამხ. **ბელიაკოვი,** უცხოეთთან კულტურული კავშირის საკ. საზოგადოების ა.-კ. განყოფილების წარმომადგენელი ამხ. **სურხატიანი** და ამავე საზოგადოების საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელი პროფესორი **ნუცუბიძე,** ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს დირექტორი ამხ. **ვართანიანი,** გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ამხ. **შევჩენკო,** გაზ. „კომუნისტის“ რედკოლეგიის წევრი და ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. **ჭყონია,** გაზ. „ნა რუბეჟე ვოსტოკას“ რედაქტორი ამხ. **დუდუჩავა,** სამხატვრო აკადემიის რექტორი და საბჭოთა მწერლების კავშირის წარმომადგენელი **ბუხნიკაშვილი** და მთელი რიგი ცენტრალური გაზეთების და ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები.

ლიტველი ჟურნალისტები ტფილისში დაყოფენ ერთ დღეს, რის შემდეგ გაემგზავრებიან ბათომში, იქედან კი—ყირიმში (ადს).

პარტყრილობის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლისათვის

გრ. ზენეიშვილი

(ტრამვაი, მოძრაობის დარგის პარტორგანიზატორი)

მე ახლა ზერელე ცოდნა არ მაკმაყოფილებს

მოუთმენლად ველოდი გაზეთებში ამხ. სტალინის მოხსენების გამოქვეყნებას.

29 იანვარს „კომუნისტში" გამოქვეყნებული ეს საპროგრამო მოხსენება, რომელიც იმ დღესვე დიდი ინტერესით წავიკითხე; მაგრამ, მართალი უნდა ვსთქვა, მოხსენების შინაარსი გავიგე ზერელედ; რომ ვინმეს ეკითხა, თუ რა საკითხებს შეეხო ამხ. სტალინი თავის მოხსენებაში; — შემეძლო დამესახელებინა მხოლოდ ზოგიერთი ძირითადი საკითხი, განმარტებას კი სწორად ვერც ერთზე ვერ მივსცემდი.

ამხ. სტალინის მოხსენების გარდა — მე ასევე გატაცებით წავიკითხე მე-17 პარტყრილობის სხვა მასალებიც; დიდი ინტერესი გამოიწვია ჩემში ამხ. კაგანოვიჩის მოხსენებამ საორგანიზაციო საკითხებზე, და ამხ. მანუილსკის მოხსენებამ საერთაშორისო მდგომარეობაზე. ვკითხულობდი ყველას და არ მქონდა მათი ღრმად დამუშავების საშუალება. მე როგორც პარტორგანიზაციის ხელმძღვანელს, ყველაზე უფრო მეტად მევალებოდა მე-17 პარტყრილობის მასალების ღრმათ ცოდნა. ამ მიზნით გადავწყვიტე კვლავ, თავიდან შევდგომოდი ამხ. სტალინის მოხსენების კითხვას... დავიწყე ხელმეორედ. ამ მუშაობის დროს გზადაგზა ჩემთვის გაურკვეველი საკითხები წამოიჭრენ, რომლებიც არ მაძლევდენ საშუალებას კარგად შემეთვისებია ამხ. სტალინის მოხსენება... სწორედ ამ ხანებში პოლიტსკოლაშიც შევუდექით. მე-17 პარტყრილობის მასალების დამუშავებას; პროპაგანდისტმა ამხ. ჩხაიძემ თავიდანვე მოფიქრებულად მოკიდა ხელი პარტყრილობის შედეგების დამუშავების საქმეს. მან შესძლო პოლიტსკოლის ყველა მსმენელების დაინტერესება. გარდა პოლიტსკოლისა; ვმეცადინეობდი, დამოუკიდებლად სახლში, საღამოობით თავს ვიყრით რამოდენიმე დაინტერესებული ამხანაგები და პროპაგანდისტის ხელმძღვანელობით ვატარებთ საუბრებს.

უკანასკნელ ხანებში ისე შევისწავლე ამხ. სტალინის მოხსენება, რომ ეხლა თავისუფლად ვახერხებ ჩამორჩენილ ჯგუფების ხელმძღვანელობასაც. ამჟამად მე ხუთ კაცს ვამეცადინებ ყოველ ორ დღეში 1 საათს.

ამხ. სტალინის მოხსენების შესწავლამ მე საშუალება მომცა უფრო კარგად გარდამექმნა ორგანიზაციული მუშაობა ძველ, კაბინეტურ მუშაობას თავი დავანებე; ჩემს მუშაობას ეხლა მეტი სიცოცხლე და კონკრეტულობა ახასიათებს.

ამხ. სტალინის მოხსენების დამუშავებამ კიდევ უფრო აღმიძრა, სურვილი ჩემი პოლიტიკური მომზადების დონის აწევის. მე ახლა არ მაკმაყოფილებს პოლიტიკური საკითხების ზერელედ გაცნობა.

ამოცანად დავისახე — შევისწავლო ერთი წლის განმავლობაში ლენინის და სტალინის თხზულებებიდან, ძირითადი საკითხები.

პარტსწავლების დამკვრელები: ამხ. ახობაძე (სპილენძის სატკეცი ქარხანა), გორდეზიანი („26" კომუნარის ქარხ.); ცატუროვი (სპილენძის სატკ.); დოროფეევი და ზაკომოლდინი („26" კომუნარის ქარხ).

მარო მჭედლიშვილი

(მაუდის ფაბრიკის მუშა)

როგორ ვსწავლობ ამხ. სტალინის მოხსენებას

ადრევე დაინტერესებული ვიყავი პოლიტიკური საკითხებით, მაგრამ ეს ინტერესი ერთი ორად გაძლიერდა მას შემდეგ, როდესაც მე შევუდექი ამხ. სტალინის მოხსენების დამუშავებას. მოხსენების დეტალურად დამუშავებას ხელი მოვკიდე მისი გამოქვეყნების მეორე დღიდანვე. შევადგინე ამხ. სტალინის მოხსენების შესწავლისათვის მეცადინეობის კრილი, გავანაწილე მოხსენების თითეული თავი დროის მიხედვით, და სისტემატიურად განსაზღვრულ დროის განმავლობაში ვმუშაობდი ერთ საკითხზე. პირველად ვკითხულობ თავიდან ბოლომდე, გაუგებარ წინადადებებს ავღნიშნავ თვით ტექსტში და აგრეთვე ვიწერ რვეულში, რომელიც სპეციალურად მაქვს მომზადებული გაურკვეველ საკითხების ჩასაწერად. მეორე დღეს ფაბრიკაში ვნახულობთ ჩვენ პროპაგანდისტს ამხ. ლეჟავას ან საამქროს პარტორგანიზატორს ამხ. ონისიმე ჯვარიძეს და მათი დახმარებით ვარკვევ გაუგებარ საკითხებს; პროპაგანდისტი სრულიად გასაგებად მიხსნის ყველა საკითხებს, და უფრო დეტალურად გარკვევისათვის მათ უკავშირებს ჩვენი ფაბრიკის საწარმოო და საყოფაცხოვრებო ყოველდღიურ პრაქტიკულ სინამდვილეს.

მეორე დღეს კი მე მეცადინეობაზე მივდივარ მომზადებული, კონსპექტი მაქვს შედგენილი თვითეულ თემაზე.

წინეთ ჩემთვის გაუგებარი იყო არა მარტო ზოგიერთი საკითხები და წინადადებები, არამედ ზოგიერთი სიტყვებიც კი, როგორიცაა: „მონოპოლიური", „დეპრესია" და სხვა მსგავსი უცხო სიტყვები, რომლებსაც შევხვდი განსაკუთრებით მოხსენების დასაწყისში, სადაც ამხ. სტალინი ლაპარაკობს ეკონომიური კრიზისის მოძრაობის შესახებ, კაპიტალისტურ ქვეყნებში.

უდავოა, რომ მარტო თეორიულ დებულებათა შესწავლა არ კმარა, თუ ისინი არ დაუკავშირეთ ჩვენი საწარმოო მუშაობას. მაგალითად როდესაც მე ვამუშავებდი მრეწველობის საკითხს ამხ. სტალინის მოხსენებიდან და მივედი იქ, სადაც ლაპარაკია პროდუქციის ხარისხის შესახებ, მომაგონდა ჩვენი ფაბრიკა, და განსაკუთრებით საქსოვი საამქროს მდგომარეობა. პროდუქციის ხარისხის საკითხი, **წუნი,** ჩვენ საამქროს ჯერ კიდევ განუკურნებელ სნეულებათ არის გადაქცეული... პირადათ მე გეგმა! რიცხობრივად ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებდი, მაგრამ წუნი მქონდა... გადავწყვიტე რათაც უნდა დამჯდომოდა მომესპო წუნი და ამხ. სტალინის მითითებაზე საქმით მეპასუხა; და მართლაც შემდეგ (მარტის თვიდან) წუნი აღარ გამომიშვია. პირველი კვარტალის გეგმა შევასრულე **110,6** პროც. აპრილის გეგმა კი **106** პროც. მაღალი ხარისხით. ამის შემდეგ ღრმად დავრწმუნდი, რომ თუ არის **მონდომება და პატიოსნად იმუშავებს ყოველგვარ სიძნელეს გადალახავს.**

ამჟამად ჩვენი საამქროს პოლიტსკოლაში, რომელშიაც 35 კაცია გაერთიანებული, დიდი ხალისით ვმეცადინეობ, არ ვაცდენ არც ერთ მეცადინეობას; მე დავეწიე მოწინავე ამხანაგებს, როგორიც არიან ამხ. **კვანტალიანი, ი. კირიულაშვილი,** ბ. სერილაშვილი და სხვა. ეხლა თავისუფლად შემიძლია დავეხმარო ჩამორჩენილებსაც ჩემი სურვილით, ავიღე ვალდებულება რომ ვამეცადინო ამხ. **ანა ჩადიევას.**

ვიქტორ სამთელაძე

(სტალინის სახ. ორთქლმავალ შემკ. ქარხანა)

ღრმად შევისწავლი მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს

პარტყრილობის მიმდინარეობისას დიდი ინტერესით მოველოდი, მასალებს, განსაკუთრებით ბელადის მოხსენებას. 29 იანვარს ჩვეულებრივ დროზე სამუშაოდ, რომ მოვედი, ვნახე ჩვენს საამქროში მუშები შეგროვილიყვნენ და გაზეთს ათვალიერებდნენ.

— ბიჭებო აქეთ მოიწით, ამხ. სტალინის მოხსენებას ვკითხულობთ — დაიძახა ბრიგადირმა:

იმ დღიდანვე მოვკიდე ხელი პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავებას. ამხ. სტალინის მოხსენება რამოდენიმეჯერ წავიკითხე, **მაგრამ მარტო წაკითხვა როდი კმარა, საჭიროა წაკითხულის გაგება და მისი შეთვისება, შესწავლა.**

როცა ამხ. სტალინის მოხსენებას ვკითხულობდი, შემხვდა ბევრი, ჩემთვის გაუგებარი სიტყვა (მაგ. დეპრესია, დემპინგი, ინფლიაცია და სხვ.) ამის გასარკვევად მე დავიხმარე ლექსიკონები, მივმართე ჩვენს პროპაგანდისტს ახსნა - განმარტებისათვის და გავერკვიე ყველა იმ საკითხებში, რომლებიც ჩემთვის გაუგებარი იყო. დღემდე პოლიტსკოლებში; განვლილი მასალები უკვე სათანადოთ შევითვისე.

აგვისტომდე **მთლიანად შევისწავლი მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს;** რასაც მჭიდროთ დავუკავშირებ ყოველდღიურ ბრძოლას, საწ. - საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ი. მურჯიკნელი

(საქონლის სადგურის მუშა პარტკანდიდატი)

გაზეთი და წიგნი ჩემი ყოველდღიური თანამგზავრია

წინედ თავისუფალ დროს მე თითქმის სულ ქეიფში და უაზრო ხეტიალში ვატარებდი, ძალიან ცოტას ვკითხულობდი წიგნებს და ჟურნალ - გაზეთებს. არ ვიცოდი, როგორ უნდა მემუშავნა წიგნზე და ჟურნალ - გაზეთებზე. მე მათ ვკითხულობდი მხოლოდ გართობის მიზნით. და არასოდეს არ დავინტერესებულვარ მათი შინაარსით პოლიტიკური ხასიათის წიგნების კითხვას; გულს ვერ ვუდებდი... მაგრამ, მას შემდეგ, რაც წავიკითხე ამხ. სტალინის მოხსენება, ჩვენი წარმოების პარტორგანიზატორის ამხ. ვაჩეიშვილის დახმარებით დავამუშავე რამდენიმე თავი, თითქოს გონება გამეხსნა და თვალები ამეხილა, მე აღმიძრა მარქსისტულ - ლენინური თეორიის უფრო ფართოდ დაუფლების სურვილი. ამოცანად დავისახე ამხ. სტალინის მოხსენების ღრმად შესწავლა... მე არ დავკმაყოფილდი პოლიტსკოლაში მეცადინეობით, უფრო მეტს ვმუშაობ დამოუკიდებლად, შევიძინე ყველა წიგნი, რომლებიც აუცილებელია მე-17 პარტყრილობის მასალების დამუშავებისათვის. **ჩემთვის ეხლა ყოველდღიურ მოთხოვნილების საგნად გადაიქცა გაზეთი, წიგნი და ჟურნალი.** გაზეთებში ხშირად ვეცნობი „მოწინავე ამხანაგების გამოცდილებას ამხ. სტალინის მოხსენების დამუშავების შესახებ, და მათი მუშაობის მაგალითზე ვსწავლობ.

თითქმის სისტემატიურად 3 დღეში ერთხელ სამუშაოზე ნახევარი საათით ადრე მოდიან ჩემი ბრიგადის წევრები და ვაწყობთ აზრთა გაცვლა - გამოცვლას ამხ. სტალინის მოხსენების ირგვლივ; ასეთ საუბრებს ვატარებთ პოლიტმეცადინეობის წინა დღეებში მოცემულ განაკვეთის ღრმა დამუშავებისათვის. ჩემს ბინაზე ძალიან ხშირად თავს იყრიან მეზობლები (დეპოს და საქ. სად. მუშები სცხოვრობენ ჩემს ახლოს). ჩვენ აღარ ვლაყბობთ ძველებურად სხვადასხვა არა არსებით, უნაყოფო საკითხებზე, არც კარტისა და ნარდის აზარტულ თამაშში ვიშლით ნერვებს, არამედ ვსაუბრობთ და ზოგჯერ გაცხარებული ვკამათობთ კიდეც ამხ. სტალინის მოხსენებაში დასმულ საკითხების ირგვლივ.

პოლიტსკოლის მეცადინეობა არც ერთხელ არ გამიცდენია, უკანასკნელად მე მომამაგრეს ჩამორჩენილი ამხ. ილია ჩხიკვაძე, ერთი კვირაა ვიმუშავე მასთან ერთად ამხ. სტალინის მოხსენების პირველ თემაზე. უკანასკნელ ხანებში მან წარმატებით ჩააბარა პირველი განაკვეთი.

არსებითი გარდატეხა მოახდინა ჩემს ყოველდღიურ მუშაობაში ამხ. სტალინის მოხსენების შესწავლამ, მე წინ მივდივარ გეგმების შესრულების საქმეში, მაგალითად პირველი კვარტალის გეგმა შევასრულე **127 პროც., აპრილის** გეგმა 130,8 პროც.

ჩემთვის ყოველივე ნათელი გახდა ამხ. სტალინის მოხსენების შესწავლის შემდეგ.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ხარისხისათვის

ამხ. სტეცკის მოხსენებიდან

(მუშკორთა და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მოსკოვის საერთოსაქალაქო კრებაზე ბეჭდვითი სიტყვის დღეს, 5 მაისს)

— ჩვენ ყოველ წელს სიხარულით აღვნიშნავთ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ზრდას, მუშკორთა არმიის ზრდას, ვინაიდან ბეჭდვითი სიტყვა წარმოადგენს მასების პოლიტიკური და კულტურული ზრდის ყველაზე მკაფიო გამოხატულებას. ბეჭდვითი სიტყვის დღეს, ჩვენ მივესალმებით ჩვენი პარტიის თეორიულ ორგანოს — ჟურნალ „ბოლშევიკის" ათი წლის იუბილეს. ამ ორგანომ, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის საბრძოლო პროპაგანდას აწარმოებს, იწყო გამოსვლა 5—7 ათასი ეგზემპლიარის ტირაჟით. ამჟამად კი მას აქვს ასეთი ტიპის ჟურნალისათვის გაუგონარი ტირაჟი—450 ათასი ეგზემპლიარი, რაც მაინც ვერ ფარავს მოთხოვნილებას.

ახლა ვერცერთი დიდი და პატარა წამოწყება უგაზეთოდ თავს ვერ გაიტანს. სოფელში წარმოიშვენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა პოლიტგანყოფილებანი, მათ ორგანიზაციას თან სდევდა დაარსება ახალი ტიპის გაზეთების—პოლიტგანყოფილებათა გაზეთების, რომლებიც ამჟამად 3 ათასამდეა. პარტიამ ტრანსპორტზე გადაისროლა ძალები. იქ მოეწყო პოლიტგანყოფილებანი და მათთან ერთად წარმოიშვა 25 საგზაო გაზეთი. საამქრო გაზეთები საწარმოებში და ბრიგადული გაზეთები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. სოფლად, საკოლმეურნეო ბრიგადებში ჩვენ ასიათასობით გვაქვს კედლის გაზეთები. ცალკე საწარმოებში, გარდა ზოგადპოლიტიკური გაზეთისა, გამოდის სატირული, ტექნიკური, სალიტერატურო გაზეთები (სტალინის სახელობის ქარხანა, ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა). ბეჭდვითი სიტყვა იზრდება რიცხობრივად, ყოველ მხრივ, ჩვენ გვაქვს გაზეთები მიწის ქვეშ, ქვანახშირის მაღაროებში და მეტროზე, წყალქვეშ—ჩვენს წყალქვეშა გემებზე; მალე გაჩნდება გაზეთი ღრუბლებს ქვეშაც თვითმფრინავ „მაქსიმ გორკიზე" (ტაში).

როცა ჩვენ ამ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა შექმნეს ლენინმა და სტალინმა. მათ შთაბერეს მას საბრძოლო რევოლუციური სული, ასწავლეს მას, თუ როგორ უნდა იწარმოებია მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, როგორ უნდა დაემყარებია და განემტკიცებია კავშირი მასებთან. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა სწორედ იმით არის ძლიერი, რომ იგი აღზრდილია ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის პარტიულობის და მასობრიობის შესახებ ჩვენი დიდი ბელადების მიერ მოცემულ მითითებათა საფუძველზე.

— შემდეგ ამხ. სტეცკი აღნიშნავს, რომ ბეჭდვითი სიტყვის დღევანდელ დღეს, რომელიც არის პარტიის ცენტრალურ ორგანოს იუბილეს დღეც, შეიძლება მივულოცოთ „პრავდას", რომელმაც ახალი ტექნიკური შეიარაღება მიიღო, „პრავდა", რომელიც ბევრს იბრძოდა ტექნიკის „სასწაულებისათვის" ჩვენს საბჭოთა კავშირში, ამჟამად თითონ აღჭურვილია უძლიერესი როტაციით, რაც საშუალებას იძლევა მთელი მისი ტირაჟი ორ საათში დაიბეჭდოს.

პარტიის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომლებიც უკლასო სოციალისტური საზოგადოების გაშლილ პროგრამას წარმოადგენენ, ამავე დროს მთელი ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის სამუშაოთა პროგრამა. ბეჭდვითი სიტყვის მთელი მუშაობა უნდა დაექვემდებაროს მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას და ყრილობის მიერ დასმულ ამოცანების შესრულებისათვის ყოველდღიურ ბრძოლას, ვინაიდან მასების მრავალმხრივი მობილიზაციის გარეშე ეს ამოცანები ვერ შესრულდება.

უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრმა რედაქტორმა ვერ გაიგო ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის მნიშვნელობა, ისინი ცდილობდენ დაკმაყოფილებულიყვნენ ერთი-ორი სტატიით, რამდენიმე „ქუდით", სადაც ნახსენები იქნებოდა ყრილობა, შემთხვევითი მასალებით და სხ. საჭიროა გაცილებით უფრო სერიოზული, მოფიქრებული პროპაგანდა, რომელიც ამოცანად უნდა ისახავდეს მასების მობილიზაციას ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. პარტიის ც. კ-მა თავის გადაწყვეტილებებში გაზეთების: „მოლოტის", „კომუნარის" და „რაბოჩი კრაის" შესახებ აღნიშნა, რომ შეუძლებელია ყრილობის გადაწყვეტილებათა ზერელე პროპაგანდა ამ გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, მრავალი თვის მანძილზეა ნავარაუდევი, ვინაიდან ყრილობის ყველა უმნიშვნელოვანესი პრინციპული დებულებანი უნდა მივიყვანოთ თვითეული მშრომელის შეგნებამდე.

შემდეგ ამხ. სტეცკი აღნიშნავს, რომ გაზეთის ამოცანა არ განისაზღვრება მარტო პროპაგანდით. საჭიროა ოპერატიული ბრძოლაც გეგმისათვის.

— არიან სამეურნეო და საბჭოთა ხელმძღვანელები, რომლებიც ფიქრობენ, რომ გაზეთი ზედმეტი ბარგია, ფეხებში გვედება. ასეთ ბიუროკრატიულ აზრს ვხვდებით ზოგიერთ სამეურნეო მუშაკსა და ადმინისტრატორს შორის. რა თქმა უნდა, ამას არაფერი აქვს საერთო საკითხის ბოლშევიკურ დაყენებასთან. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა — თვითკრიტიკის იარაღია, წინსვლის იარაღია; და აუცილებელია ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა განვახორციელოთ არა მარტო ბრძანებით, არამედ უეჭველად ბეჭდვითი სიტყვის დახმარებითაც.

როგორ უნდა ხორციელდებოდეს თვითკრიტიკა ჩვენს გაზეთებში?

აქ შეუწყნარებელია საერთო ხმაური, ისტერიკა, საჭიროა კონკრეტული მიდგომა, კონკრეტული გარჩევა, თუ სად, რა და რატომ არის ცუდი. აუცილებელია, რომ, როგორც ამხ. სტალინი აღნიშნავდა, კრიტიკა იყოს არა ზერელე; არამედ უფრო სერიოზული და ღრმა; საჭიროა არა მარტო გავაკრიტიკოთ ადამიანები, არამედ კიდეც ვასწავლოთ მათ, აღვზარდოთ ისინი, ვაჩვენოთ მუშაობის ნიმუშები. მშენებლობის ყველა უბანზე მუშაობის ნიმუშების ასეთი ჩვენების გარეშე შეუძლებელია ნამდვილი ოპერატიულობა გაზეთების მუშაობაში, ისე როგორც შეუძლებელია წარმატებით ბრძოლა კაპიტალიზმის ნაშთებთან ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში. „პრავდამ" საუცხოოდ შესძლო ეჩვენებია დისპეტჩერ კუტაფინის გამოცდილება და გავრცელებია იგი მთელს ჩვენს ქვეყანაში.

ამხ. სტეცკი მკაცრად აკრიტიკებს მთელი რიგი რაიონული გაზეთების მისწრაფებას ჩაიკეტონ რაიონის ჩარჩოებში. ეს პოლიტიკური საკითხია. გაზეთმა უნდა აღზარდოს მშრომელები იმ მაგალითებზე, რაც საბჭოთა კავშირში კეთდება, კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარების რევოლუციური ბრძოლის მაგალითებსა და ნიმუშებზე.

აღნიშნავს რა შემდეგ საგაზეთო ენის დანაგვიანებას (გრძელი ფრაზები, უაზრო სიტყვები და შემცირებანი და სხ.), ამხ. სტეცკი ამბობს:

— ენის საკითხი — ეს ჩვენი გაზეთების ხარისხის საკითხია. უნდა ვისწავლოთ ჩვენი ბელადებისაგან. აიღეთ ამხ. სტალინის მოხსენება მე-17 პარტყრილობაზე. იქ თვითეული სიტყვა მაქსიმალური სიცხადით გაისმის, თვითეული ფრაზა აღსავსეა ღრმა აზრით, თვითეული სიტყვა მკითხველამდე მიდის.

„ლენინგრადსკაია პრავდამ", მაგალითად, შესძლო მოეწყო გაზეთის მუშაკთა წლიური კურსები, სადაც სწავლობს 100-ზე მეტი მუშკორი; ანალოგიურ მუშაობას აწარმოებენ მთელი რიგი გაზეთები საწარმოებში. მუშკორებმა თითონ უნდა „გაიტანონ თავისი", ენერგიულად დასვან რედაქციის წინაშე მუშა - კორესპონდენტებთან მუშაობის საკითხები. ამაზეა დამოკიდებული ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება.

დასასრულ ამხ. სტეცკი, ყველა დამსწრის ხანგრძლივი მქუხარე ტაშის ქვეშ, სალამს უთვლის ძმურ კომუნისტურ პრესას, რომელიც ფაშისტური ტერორის უმძიმეს პირობებში გმირულად იბრძვის კომუნიზმის გამარჯვებისათვის. (ადს).

სტალინის რაიკომის პლენუმი

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ამხ. სტალინის სახ. რაიკომის პლენუმმა, რომელიც შესდგა გუშინ საღამოს, განიხილა შემდეგი საკითხები.

1. ტრამვაის და მაუდის ფაბრიკის პარტკომის მოხსენება მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე პარტიული მუშაობის გარდაქმნის შესახებ, 2) წარმოების ხაზით მომუშავე რაიკომის პასუხისმგებელ ინსტრუქტორ ამხ. კარნიცკის ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ, 3) ორგანიზაციული საკითხები.

პირველ ორ საკითხზე პლენუმმა მოისმინა ამხ. ბარსკის (ტრამვაი) და ოგანეზოვის (მაუდის ფაბრიკა) მოხსენება და ამხ. კარნიცკის ანგარიში.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ პარტიული მუშაობის გარდაქმნა მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მთელ რიგ ორგანიზაციებში ჩატარებულია ფორმალურად. მუშაობის შინაარსი ისევ ძველი დარჩა, ყურადღება არ ექცევა ცოცხალი ადამიანების შესწავლას და მათთვის კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევას.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. **ს. არუთინოვი,** რომელმაც აღნიშნა, რომ რაიონის ორგანიზაციებში პარტიული მუშაობის გარდაქმნა ჯერჯერობით ჩატარებულია მხოლოდ ფორმალურად და მექანიკურად, პარტიის წევრი ჯერ კიდევ არ სდგას პარტორგანიზაციის ყურადღების ცენტრში, როგორც ამას მოითხოვს მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილება, არ არის გაძლიერებული კომუნისტების ავანგარდული როლი. პარტიული კრებების ჩატარებისათვის მთელ რიგ ორგანიზაციებში საჭირო წინასწარი სამზადისი არ მიმდინარეობს. ზოგჯერ პარტიულ კრებებს და საწარმოო თათბირებს ვერ გაარჩევ ერთმანეთისაგან, რადგან ზოგიერთ ორგანიზაციაში პარტიულ კრებებზე საწარმოო საკითხებს არ აყენებენ პოლიტიკური პრინციპულობის სიმაღლეზე.

ამხ. არუთინოვი შეეხო მთელ რიგ კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც დგას რაიონის პარტორგანიზაციების წინაშე მუშაობის გარდაქმნის დარგში, მან მკაცრად გააკრიტიკა თვით რაიკომის მუშაობაც და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ძირეულ პრესის მუშაობას, რომელიც თითქმის არავითარ დახმარებას არ უწევს პარტიულ ორგანიზაციას მუშაობის გარდაქმნაში.

პლენუმმა რაიკომის ბიუროს წევრობის კანდიდატად შეიყვანა ამხ. **ოგანეზოვი** და რაიკომის შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. **ალ. ქამარაული.**

გრ. მუშიშვილი

გველის პერანგოსანი

გველი იკლაკნება, მაგრამ ვერ იძვრის წინისაკენ, ეგებ პერანგი აკავებს. ძველი პერანგი წელამდე მოუხსნია. პერანგი გველად მოცმია გველს: მეორე გველად... გველი თავს ივიწყებს—რაღაცას სტოვებს უკან-ქერქს იცვლის...

— ხედავთ?! გველმა თავისი თავი დატოვა: მოიხსნა და გადააგდო. აქ არის სიბრძნე...

— ისე უნდა უცქერდე საკუთარ წარსულს, როგორც გველი უცქერს საკუთარ პერანგს: გახდილსა და დაგდებულს.

გრიგორ რობაქიძე. **გველის პერანგი.**

I

სიმბოლიზმი—ბურჟუაზიული დასავლეთის დეკადენტური ხელოვნების კლასიკური ნიმუშის სახით—კონტრაბანდულად შემოიჭრა ჩვენში.

საკმაოდ დახელოვნებული, საქმის მცოდნე და პირდაპირ ვირტუოზი აღმოჩნდა მთავარი კონტრაბანდისტი: მაშინდელ წვრილბურჟუაზიულ საქართველოში მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამპალი კულტურის, სიმბოლისტურ-დეკადენტური ხელოვნების გადმოწერგვა მის კონტრაბანდისტულ ოსტატობას, ლიტერატურულ აფერისტობას, თითების ჯიბგირულ მოქნილობასა და ელასტიურობას შესაძლოა მიეწეროს უმთავრესად.

ყოველ იდეოლოგიას—გვეუბნება ისტორია—მოეპოვება თავისი გაზაფხული: აყვავებისა და ვარდად გაფურჩქვნის „გმირული ხანა"

ქართულმა სიმბოლიზმმაც განვლო თავისი არც ისე ხანგრძლივი და ნაძრახ სიცოცხლის რომანტიული გზა. იმპერიალისტური ომისა და მენშევიზმის დიქტატურის პერიოდი წარმოადგენდა სურნელოვან ატმოსფერას სიმბოლისტურ-დეკადენტური იდეების გაშლისათვის. ქართულმა სიმბოლიზმმაც განიცადა თავისი „გაზაფხული", მის ქუჩაზედაც მოხდა საკმაოდ უფეროვანი დღესასწაული. საქართველო თავადებისა და აზნაურების, სამღვდელოებისა და ბერ-მონაზვნების, მსხვილი და წვრილი ვაჭრების, პოლიტიკურ და მორალურ იმპოტენტების. კვაჭებისა და თეიმურაზების, მოკლეთ—ისტორიის მიერ ულმობელად განწირულების,—აი, ეს საქართველო ყანწების, ხარდაფების, ბნელი ქუჩების, სულით და ხორცით მეძავების „ულივერო" ბოხჩებისა და უხმლო ქარქაშების „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტი" საქართველო იკვებებოდა სიმბოლიზმით. დეკადენტური ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა, დაცემულობის მხატვრული გემოვნება გაბატონდა საზოგადოების გაბატონებულ წრეებში. სიმბოლიზმმაც ფართოდ გაიდგა ფესვები „არწივისებურად" გაშალა ღამურას ფრთები.

საზოგადოების გაბატონებული იდეები გაბატონებული კლასების იდეებია. სიმბოლიზმი გადაიქცა მაშინდელ ქართულ ხელოვნებაში გაბატონებულ მიმართულებად. სიმბოლისტებმა „ბუნებრივად" დაიმკვიდრეს მხატვრული სიტყვის მიუღწეველი ოსტატობის სახელწოდება. სიმბოლისტური პოეზია, პროზა და დრამატურგია გამოცხადდა მხოლოდ ლიტერატურის შედევრად. არც ერთი ლიტერატურული საღამო, კრება, დისპუტი, „რასიული" ქართული სუფრა და თავადური ქეიფი არ ჩაივლიდა ქართული სიმბოლიზმისა და მისი განუმეორებელი ქურუმების უკვდავყოფის გარეშე. „ცისფერ ყანწების" ისტორია შეუდარებელი „ქართული სუფრის" ისტორიის ორგანიული ნაწილია.

პროლეტარიატის დიქტატურა დამყარდა და განმტკიცდა საქართველოშიც. თავადაზნაურულ, ბურჟუაზიულ-ვაჭრულ საქართველოს გამოეთხარა ძირი. მენშევიზმი დაემხო, ბოლშევიზმმა გაიმარჯვა. სოციალური პირობები რადიკალურად შეიცვალა. სიმბოლიზმის შემდგომი განვითარების გზა ალკვეთილი აღმოჩნდა, მაგრამ სიმბოლიზმი მაინც დარჩა საბჭოთა საქართველოს ადრინდელი პერიოდის ლიტერატურაში, როგორც კლასობრივი მტრის ლიტერატურულ იდეოლოგიური იარაღი. „ნეპის" შემოღებამ გაათამამა ყოველი ფერის ყანწები, მათ შორის—ცისფერიც. სიმბოლიზმი კვლავ შემოიჭრა საქართველოში კონტრაბანდულად, თავი ამოყო უკვე პროლეტარულ დიქტატურის ქვეყანაში.

ამ შემთხვევაშიაც დიდია როლი მთავარი კონტრაბანდისტის: მის კონტრაბანდისტულ ოსტატობას, ლიტერატურულ აფერისტობას, თითების ჯიბგირულ მოქნილობას ბევრი მიეწერება ამ შემთხვევაშიაც.

ᲒᲠᲘᲒᲝᲠ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ—სიმბოლიზმის იდეური ბელადი საქართველოში: პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ფილოსოფოსი! **ᲛᲣᲡᲝᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲐᲞᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲙᲘᲗ ᲐᲡᲔ ᲒᲕᲔᲮᲐᲢᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲔᲑᲘ [illegible]. ᲒᲐᲕᲔᲪᲜᲝᲗ ᲛᲐᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲐᲓ.**

⁂

მრავალი წიგნი დაუწერია რობაქიძეს, მრავალ ადგილას გამოუთქვამს თავისი მრწამსი, გამოუაშკარავებია თავისი „ფილოსოფია", მსოფლმხედველობა. ყველა მისი ნაწერი ემსახურება სიმბოლიზმის პროპაგანდას, ყველგანაა მოცემული დეკადენტური მოდერნიზმი. ამ მხრივ რობაქიძე მკვრივია და მთლიანი.

რომანი „გველის პერანგი", დაწერილი უკვე საბჭოთა საქართველოში, რობაქიძის მსოფლმხედველობის ყველაზე უფრო მკვეთრ სურათს იძლევა, ამ რომანში, როგორც ხელის გულზე, აშკარად მოსჩანს რობაქიძის იდეოლოგია მთელი თავისი ზომა [illegible].

ᲐᲠᲩᲘᲑᲐᲚᲓ ᲛᲔᲙᲔᲨᲘ—„გველის პერანგის" მთავარი გმირი—მხატვარია მოწოდებით თუ პროფესიით. მისი ნახატი მოწონებულია პარიზის ერთ-ერთ ცნობილ სალონში. იწყება იმპერიალისტური ომი. გაისმის პაროლი: „სლავების იდეა", „გერმანიის სული", „ბრიტანეთის ხელმწიფება მსოფლიოს გამრიგებელი თუ მომრიგებელი" (ბრჭყალებში ჩასმული ფრაზები როგორც აქ, ისე ქვევით რომანის ავტორს ეკუთვნის). მეკეში უთვისტომოა ფსიქოლოგიურად: არც ძმა ჰყავს, არც და, არც დედა. მამა თუ ახსოვს მხოლოდ! ომის ბურანი მეკეშსაც იტაცებს, ის ეწყობა კორესპონდენტად მესოპოტამიაში გენერალ ტოუნსენდთან მესოპოტამიიდან გადადის სპარსეთში. ამჟამად ჰამადანშია ის.

გადაუჭრელი ამოცანა არ აძლევს მოსვენებას არჩიბალდ მეკეშს. მან არ იცის საკუთარი „ფესვები". სერ არჩიბალდ ეძებს „ძირებს", მაგრამ „ვერ ნახულობს თავის ფესვებს". ამიტომ დაიარება მეკეში: თავბრუდახვეული ატომი—სხეულის გარეშე დასხმული—მოხეტე სევდითა და ნაღვლით", დაიარება როგორც „გზააბნეული ატომი". არჩიბალდ მეკეშს მკერდზე აქვს ჩამოკიდებული ზაფრანისფერი ბოხჩა, სადაც ინახება მამის მედალიონი. მამა მას ახსოვს ბურუსად, და კლავს არჩიბალდს სევდა განუსაზღვრელი: ვინ იყო მამა მისი, როგორია არჩიბალდის „ძირები"—ასეთ ფიქრებში ატარებს მეკეში ღამეებს მტრედისფერ ალიონამდე. მაგრამ პასუხს ვერ პოულობს ჰამადანში.

აქ არჩიბალდ მეკეში შემთხვევით შეეყრება სათნოებას და—ოლღა ზალაშოვას. ოლღას „გრძელნი ფლორენციულნი ფეხნი (ავტორის სტილს ვიცავთ ყველგან, როგორც არქაულ სიძველეს. გ. მ.) თეთრი ნაკადულის ორ მაგარ ტევრად ჩამოხუთქილნი" გრძნობას ურევს სერ არჩიბალდს. ოლღა „ახალი რასის ქალწულია... მის სამშობლოში (რუსეთში გ. მ.) ძველად სკვითები მტრის თავისქალისაგან თასს აკეთებდნენ და ამ უცნაური ხაპით სმიდენ ღვინოს. მისი სამშობლო ეხლაც სტეპია თვალუწვდენი... უკიდურ ველებზე დღესაც გარბის ურაკეცი ატეხილი: წითური ჭინკანით" (ე. ი. პროლეტარული რევოლუცია!!). არ აქვს ზალაშოვას კეთილშობილი „ფესვები", მაგრამ სიყვარულის გრძნობა სძლევს სკვითების ჩამომავალთა მიმართ სიძულვილის გონებას. არჩიბალდ მეკეში ირთავს ოლღა ზალაშოვას. ბედნიერია არჩიბალდ მეკეში!

აქამდე რომანი ვითარდება მშვიდობიანად. მხოლოდ ერთი სევდა აწუხებს რომანის გმირს—თავისი „ფესვების", რასის, ხალხის, შთამომავლობის გამოუცნობელი საიდუმლოება.

არჩიბალდ მეკეშს აღმოუჩნდებიან მეგობრები ჰამადანში—ქართველები სოფელ ხაიროდან. ხშირად იყრიან თავს ეს მეგობრები არჩიბალდ მეკეშთან. ერთი მათგანი, სარგის პეტრიძე, ძველ ხმალს ატრიალებს, დაკვირვებით ათვალიერებს. და აი ამ მომენტიდან იწყება არჩიბალდის „ფესვების" გამოუცნობელი სფინქსის ამეტყველება.

— ბატონო არჩიბალდ, სადაურია ეს ხმალი?

— ჰამადანში ვიყიდე.

— იცით რა აწერია?

— არ ვიცი.

— „ირუბაქიძე",

— რა?

— გვარი ძველი თავადის...

არჩიბალდ მეკეში გაოცებულია, გაურკვეველი გრძნობა ათამაშდა მასში, ახლა ის „საუკუნეებში იხედება", ალბათ, იქ თუ აღმოაჩენს თავის „ფესვებს".

არჩიბალდ მეკეში ქართულის სწავლას შეუდგა. რატომღაც იტაცებს მას საქართველოს ისტორია. სად სერ არჩიბალდ მეკეში და სად ქართული ენის სიყვარული! აქ რაღაც შავბედითი ამბავი უნდა მოხდეს აუცილებლად.

მეკეში გატაცებულია საქართველოს ისტორიით. რატომ, რისთვისაა ეს ისტორია გამაგიჟებელი? რასაკვირველია, იმიტომ, რომ იგი

— ძველი და ლამაზია.

— სხვაგან არაა ძველი და ლამაზი?

— არა.

ქართველები **ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ** რასაა. აიღეთ ქართული ცეკვა. „გარდა ქართველისა მას ვერ იცეკვებს ვერავინ: **ᲠᲐᲡᲡᲐ ᲐᲠ ᲔᲧᲝᲤᲐ**". ქართული ცეკვა დიდხანს არ წყდება. „ეს ბეჭედია ქართული რასის და მისი სირაინდის". ქართველებს შორის „ირკვევა არა მარტო რასსა მთელის—არამედ ჯიშიც ცალკეულ გვარის". ეს ჯიში, ეს ცალკეული გვარი ქართული „რასის ნატეხებია". მაგალითიც, თუ გნებავთ: „გურულთა სიმკვირცხლე და კისკისი სიმღერა (რომელმაც მსგავსი არ იცის სამყაროში). იმერთა რასიული დახვეწილობა და: სიდარბაისლე (რომელიც ედავება ყველა რასსებს)". ქართველები შეადგენენ „დახვეწილ რასსას", ეს რასსა ყველა რასსაზე უმაღლესია და უკეთილშობილესი. ქართველებიც „რა მოხდენილი ხალხია". მიხვრა-მოხვრა მათი, გაღიმება, ორბისებური ცხვირი, მათი „სუფრაც რასსის ნიშანია". ქართველი ქალი! „სპარსელთა გახელება ქართულ ქალთა სილამაზით აიხსნება", ქალის „ასე წყობილი წამწამები მარტო საქართველოშია". ქართული რასსა უმაღლესი ადამიანობის მაჩვენებელია, ქართველი—კაცობრიობის თვალის ჩინია.

ამბობენ, ქართველები ზარმაცი ხალხიაო. დიახ ეს ასეა. მაგრამ—„განა სიზარმაცე ცუდია?! ქვეყანა, რომ იხუნთქოს, საჭიროა ოცნება... ხომ გახსოვს სიტყვა უაილდის". სიზარმაცე ოცნების აუცილებელი პირობაა, ოცნების გარეშე კი ქვეყნის სუნთქვა შეუძლებელია. „დახვეწილი რასსა" სუნთქავს მთელ ქვეყანას, „დახვეწილი რასსის" ფილტვები არაჩვეულებრივია. ამიტომ ქართველთა სიზარმაცეც რასიულია.

ბევრგვარი რასსაა დედამიწის ზურგზე. „ორლობის ძაღლი: ესეც ცალკე რასსაა". **ᲛᲮᲝᲚᲝᲓ** ქართული რასსა გამოიყოფა ცნობილთა რასიდან. მრავალი ხალხი უახლოვდება „ორლობის ძაღლს" რასიულად, შეუძლებელია მათი რასიული დახვეწილობა.

აი, **ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲘ**. „სად არ შეხვდებით მათ? ღმერთის ყველგანყოფა მხოლოდ ებრაელს შეეძლო მოეაზრა..: წამსვე გამოიცნობთ ებრაულ პროფილებს". რასიული დახვეწილობაც უცხოა ებრაელისთვის „არის რაღაც საიდუმლო ებრაელის გამოხედვაში. თვალებში ირონია და ბავეზე სევდა. თვალებით თითქოს გეუბნება: მე ვიცი და შენ არ იცი—საიდუმლო. ტუჩები თითქო გამცნებს: „ღმერთმა გაზითროს ჩემი ზვედრი". ასეთია ებრაული რასსა. ანტისემიტიზმის უძლიერესი ნაკადული სჩქეფს აქ თითოეულ სიტყვაში. მოშხამული, მოწამლული, ზოოლოგიური შოვინიზმით დამჟავებული სიტყვები! შოვინიზმი—რასიულ თეორიის საფუძველია და გამოსავალი წერტილი

აი, **ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘᲪ**, აქაა „რასის დომხალი". სომხის „წაჭანებულ შუბლს არტყია საშინელი სიჯიუტე, უკმეხი ძრაობა ამხელს ხასიათის სიკორძეს. ღრუ ხე: მუხლმაგარი, მაგრამ გაღუნული და გაბრუნდული", ასეთია „პროფილი... კარაპეტის. ამაშიც მოსჩანს უეჭველი „რასის დომხალი". რა გაეწყობა, ასეთია ბუნების რკ. კანონი, არის ძაღლი სხვადასხვა ჯიშის. განა ორლობის ძაღლი და გერმანული „ოვჩარკა" თანაბარღირებულია ჯიშით, ერთნაირია სისხლით? კაცობრიობის ისტორია რასების ბრძოლის ისტორიაა! ამ ბრძოლაში ხდება რასიული შერჩევა: მაღალი რასა იმარჯვებს, დაბალი—იღუპება. ასევე ამ შემთხვევაშიაც: სომხური რასა რასიული დომხალის გამოხატვაა, რასიული მონობის დაღი—აი რა ამჩნევს სომხის „წაჭანებულ შუბლს". ქართული რასა, როგორც უმაღლესი, დახვეწილი რასის განსახიერება, განგების მიერ მოწოდებულია იბატონოს სომხურ რასაზე. ამიტომ ნუ გაგვაკვირვებს, მაგალითად, თუ „სომეხი სპარსეთში ქართულ სიტყვებით სპარსულ ბაიათს გამკივის".

კაციჭამია ქართული შოვინიზმი, ღვარძლიანი ნაციონალიზმი, რასიული თეორიით „დასაბუთებული", აი „გველის პერანგის" მთელი იდეოლოგიური არსენალი.

ᲠᲣᲡᲔᲑᲘ? ნურას უკაცრავად, არც რუსები წარმოადგენენ „ცალკე რასიდან" ბედნიერ გამონაკლისს. რუსებზე: „პირმოშვებული რასსა, ველური და ძარღვმაგარი". ველურები ცალკე რასაა, ორლობის ძაღლის რასაზე ოდნავ მაღალი. ველური რასა ძარღვმაგარია და ვაი იმ დახვეწილ რასას, რომელსაც ეს ველური რასა — რუსული რასა—დაეტაკება რუსი—„სკვითის თავით და მონღოლის თვალებით. რა დაუდგება ამ რასას და რა დააკავებს მას? წალეკავს ყველაფერს, გადალახავს, წარღვნის"! წალეკვა, წარღვნა, გადალახვა ყველაფრის, ბარბაროსობა და არა კულტუროსნობა—„პირმოშვებული რასის", სკვითისთავიანი რასის, შინაგანი თვისებაა უეჭველად ეს.

ქვევით ასე გულახდილად როდი ამჟღავნებს ლოგიკურად ბოლომდე როდი ანვითარებს ავტორი თავის **ᲠᲐᲡᲘᲣᲚ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲡ**. ამ თეორიიდან აუცილებლად გამომდინარეობს პოლიტიკური დასკვნა, რომელიც სურს ავტორს გააკეთებინოს თვითონ მკითხველს: „პირმოშვებული რასა" სკვითის თავით და მონღოლის თვალებით, დაესხა „დახვეწილ რასას", „მოხდენილ ხალხს"—„ქართულ რასას" და წალეკა, გადალახა, წარღვნა ის. ამის თქმას აშკარად, პირდაპირ ვერ ბედავს გრ. რობაქიძე, მას აქ „რასა არ ეყოფა": პროლეტარიატის დიქტატურის სპეციფიურ პირობებში რაც სთქვა, ისიც კი საკვირველია და, ალბათ, „ქართული რასის და მისი სირაინდის" გამომხატველი. სამაგიეროდ, მოხერხებულია ავტორი, ეს უკანასკნელი დახვეწილი „რასის ნატეხი": რასიული თეორიის პრაქტიკულ დასკვნებს ის მკითხველს აკეთებინებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთია რომანის ავტორის გარკვეული აზრის გამიზნება.

„**ᲓᲦᲔᲡ ᲠᲐᲡᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘᲐ**". რასიული თვალსაზრისი უნდა მატონობდეს ყველგან და ყველაფერზე. ზეიმობს ქართული რასა, ქართული ჯიში, ქართული სისხლი. ქართულმა რასამ გადაარჩინა კაცობრიობა ადამიანის ჯიშის მოსპობისაგან. ქართული რასა რასიული დახვეწილობის, სიწმინდის, კრისტალურობის სიმბოლოა და რა იქნებოდა ადამიანთა მოდგმა ამ რასის გარეშე! აიღეთ „ერთი ურია, ერთი ბერძენი, ერთი სომეხი"—ეს სამი რასა. შედეგიც აუცილებელი და საბედისწერო: „ამ სამებაში უბედურება გეწვევათ". „არის რაღაც საიდუმლო" „რასის დომხალში". უზენაესი ძალა განაგებს ამ საიდუმლოს. თვითონ რასაა ეს ძალა უზენაესი.

აი, მოკლედ „გველის პერანგის" მთელი რასიული იდეოლოგია.

არჩიბალდ მეკეში გაჟღენთილია რასიული იდეებით. რატომღაც გრძნობს, რომ უმაღლესი რასის წარმომადგენელია ის, ქართული სისხლი ჩქეფს მის ძარღვებში—სისხლი დახვეწილი რასის. მეკეში ხშირად ფიქრობს თავის წინაპრებზე, ფესვებზე, მამაზე. და აი, ერთ მშვენიერ საღამოს გამოუცნობი სფინქსი ამეტყველდა უცბად და მოულოდნელად. უცნაურია განგება უზენაესის!

მეკეშმ „წითურად დაწინწლული" კოლოფი ამოიღო ჩემოდნიდან. კოლოფზე მიკრულია სქელი პერგამენტი ინგლისური წარწერით: „გახსენი კოლოფი მაშინ: როცა —ერთი ფიქრით იქნე ლითონივით ავსილი". არჩიბალდ მეკეში ხსნის „წითურად დაწინწლულ" კოლოფს: ახლა არჩიბალდ ხომ ერთი ფიქრითაა „დაჟურსული" და „ლითონივით ავსილი"—ფიქრით თავის „ფესვებზე", წინაპრებზე. გვაროვნულ გენეოლოგიაზე. სად ინგლისელი არჩიბალდ მეკეში და, სად ქართველი! მაგრამ არჩიბალდ მეკეშს სურს საუკუნეებს შეედავოს. წითელ კოლოფში პაკეტია, უკვე... **ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ** წარწერით. და წარწერაც—„ჩემო გონებავ, უზენაესო!—„**ᲘᲠᲣᲑᲐᲥᲘᲫᲔ**". მეკეში ხსნის პაკეტსაც. პაკეტში—პერგამენტი ქართული ხელნაწერით. მეკეშმ არ იცის ქართული კითხვა, რასაკვირველია, სარგის პეტრიძე, არჩიბალდ მეკეშის ქართველი მეგობარი, საოცარ ამბავს ამოიკითხავს.

575 წ. ქრისტეს დაბადებიდან. თვეილისი. გარდაიცვალა თავადი ირუბაქ ირუბაქიძე... თავადი იყო ახოვანი ტანად. ლამაზი თვალად. ცხვირი ჰქონდა ორბული. შუბლი—ღია და მაღალი... თვალები გველის სიშავის წყალში რომ იმალება..: მკერდის შუაგულს ხალი ჰქონდა, მისი ნიშანი, გვარის დაღიაო, ამბობდა. უყვარდა ფერი უფრო ყვითელი. უყვარდა.. ხილვა: რქა ნიაღვარი გველი რომ იძრის პერანგს ცხელ ქვიშაზე... მოკვდა გარერებულ მზეში: დიდი მუხის ძირის მიეძინა.

ხმალზე წარწერა მართალი გამოდგა. ირუბაქ ირუბაქიძე მართლაც თავადი ყოფილა. ხელთნაწერი პერგამენტზე, რომელიც მეექვსე საუკუნეს ეკუთვნის, უდაოდ, დოკუმენტალურად მოწმობს ამაზე. გვარის დაღად თავადი ხალს ატარებდა მკერდის შუა გულზე. უეჭველია თავადი ირუბაქ ირუბაქიძის პიროვნების ნამდვილობა ისტორიულად. აი, მეორე ხელთნაწერიც პერგამენტზე, რომელიც უფრო ახლობელ დროის —მე-13 საუკუნეს ეკუთვნის, ამ ისტორიულ დოკუმენტშიაც ლაპარაკია ირუბაქიძეზე, მაგრამ უკვე „დიდ თავადზე". ირუბაქიძის დიდი თავადობა ამ შემთხვევაშიაც მტკიცდება დოკუმენტალურად (აშორდიავ სადა ხარ?!)

1250 წელი. ღვინობისთვე. მოხდა საკვირველი. საქართველო აიღეს მონღოლებმა. ყველა დაემორჩილა მათ. არ დაემორჩილა მხოლოდ დიდი კარიდუ: ნაშიერი დიდის თავადის ირუბაქ ირუბაქიძის... კარიდუს მკერდის შუაგულ ხალი ჰქონდა: ნიშანი მისი.

ირუბაქ ირუბაქიძე—თავადი **ᲓᲘᲓᲘ**. მისი ნაშიერი კარიდუ—ხალით მკერდის შუაგულზე, საგვარეულო დაღით. ეს დაღი მკერდის შუაგულზე არ ტოვებს ეჭვის ნატამალსაც კარიდუს დიდ თავადობაზე, როგორც დიდი თავადის ირუბაქ ირუბაქიძის „ნაშიერზე". რასიული გმირობაც ბუნებრივია ირუბაქიძის მოდგმისათვის.

ასე ლაპარაკობს პერგამენტზე ქართული ხელთნაწერები, მეექვსე და მეცამეტე საუკუნის ეს ისტორიული დოკუმენტები. ისტორიული ფაქტია, რა გაეწყობა! ნუ შეუდავებით ისტორიას—„გველის პერანგში" განსაკუთრებით.

ვთქვათ: იყო და არა იყო რა, იყო დიდი თავადი ირუბაქ ირუბაქიძე, ახოვანი ტანად, ლამაზი თვალად, მასზე უკეთესი რა იქნებოდა! და აი მართლაც იყო ეს თავადი ხალით მკერდის შუაგულზე—ნიშნით მისი. ნამდვილად უყვარდა მას ყვითელი ფერი, უყვარდა ხილვა, რქანაყარი გველი პერანგს რომ იძრის ცხელ ქვიშაზე. თავადი იგი ირუბაქიძე გარდაიცვალა ტკბილად მზის ქვეშ, გარერებულ მზეში. ყველაფერი—ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად!!.

საკვირველია მხოლოდ: რა შუაშია აქ არჩიბალდ მეკეში? რამ ჩააფიქრა ეს ჯენ-

საგაზაფხულო თესვა

გასულ წელზე 31 დღით ადრე

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა ბოსტნეულის თესვა დაამთავრეს 15 აპრილისათვის, ხოლო სიმინდის, სოიას, არახის და რამის — 30 აპრილისათვის, ე. ი. **31 დღით ადრე, ვინემ გასულ წელს და გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე 6 დღით ადრე.** ბოსტნეულის თესვის გეგმა შესრულებულია 103 პროც., სიმინდის — 100,1 პროც., სოიას — 100,6 პროც., ლობიოს 109,7 პროც.

კოლმეურნეობებმა ნათესებში სასუქი შეიტანეს 25 პროცენტით, ხოლო ერთპიროვნულმა მეურნეობებმა 3 პროცენტით მეტი ვიდრე გასულ წელს.

მიმდინარეობს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შემოწმება.

ანარიას საბჭოთა მეურნეობა ღრმა გარღვევებშია. მობილიზებულია მთელი ძალები მისთვის დახმარების აღმოსაჩენ **შეუდექით ნათესების დაცვა - დამუშავებას.**

საქალაქო პარტკომიტეტის მდივანი თ. კო’საველი.

სამ. სატ. სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი — ვ. ტალახაძე.

მოვითხოვთ ანგარიშის გასწორებას

ლანჩხუთი. 1933 წლის გაზაფხულზე ლანჩხუთის სამ. სატრაქტორო სადგურმა ჩოხატაურის კოლმეურნეობებს მოუხნა მიწები 500 ჰექტარის რაოდენობით.

მას შემდეგ უკვე **წელიწადი** გავიდა. ამ ხნის განმავლობაში არაერთჯერ მივმართეთ ჩოხატაურის რაიმიწგანს და რაიაღმასკომს, მაგრამ კუთვნილი თანხა — 3000 მანეთი **დღემდე ვერ** მივიღეთ.

ჩოხატაურის ამხანაგები თავიდან გვიცილებდენ და გვეუბნებოდენ ფული არ აგვიკრეფია კოლმეურნეობებისაგანო. ჩვენ მივიღეთ ცნობები, რომ ჩოხატაურის რაიმიწგანს კოლმეურნეობებისაგან ეს ფული უკვე აკრეფილი აქვს და სხვა დანიშნულებაზე დაუხარჯავს.

როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს უპასუხისმგებლობა?

ლანჩხუთის სამ სატრ. სადგურის უფროსი ლოლაძე.

პოლიტგანყოფილების უფროსი ვარძიელი.

რედაქცია მოელის ამ საქმეში ჩოხატაურის რაიკომის სასწრაფოდ ჩარევას და ცნობას მის მიერ სათანადო ზომების მიღების შესახებ ლანჩხუთის ს. ს. სადგურის დასაკმაყოფილებლად.

თესვა 5 მაისისათვის

საქ. მიწსახკომის ცნობის თანახმად, 5 მაისისათვის საგაზაფხულო კულტურები დათესილი იყო სულ 487.768 ჰექტარზე, შესრულებული იყო გეგმის 75,6 პროც. საბჭოთა მეურნეობებს დათესილი ქონდათ გათვალისწინებული ფართობის 89,5 პროც. კოლმეურნეობებს — 74,3 პროც. და ერთპიროვნულ მეურნეობებს — 67,7 პროც.

რაიონების მიხედვით დათესილია:

რაიონები	ჰექტ.	პროც.
ახალქალაქის	24.878	74,2
ბოგდანოვკის	6.364	58,9
ახალციხის	10.083	97,5
ადიგენის	7.997	93,5
ტოლოშის	7.368	100,1
სტალინისის	22.577	99,2
გორის	16.782	96,8
კასპის	8.062	96,1
ბორჯომის	3.966	80,3
გურჯაანის	10.077	104,1
სიღნაღის	21.962	108,5
თელავის	15,879	100,5
ყვარლის	6.593	90,2
ლაგოდეხის	4.748	60
ტფ. გარეუბნის	9.112	96,2
ყარაიას	4,000	65,7
ბორჩალოს	4.442	43,9
ლიუქსემბურგის	3.380	102,1
წალკის	13.487	78,2
დუშეთის	3.952	38,4
აღბულაღის	6.246	94,4
საგარეჯოს	8.678	81
ბაშკიჩეთის	5.808	88,1
თიანეთის	4.909	79,5
სამხ. ოსეთში	20.962	89,7
ქუთაისის	25.643	97
სამტრედიის	7.770	58,2
ხონის	7.420	70
ვანის	3.880	104,1
ბაღდათის	5.460	105,8
ზესტაფონის	8.478	92,5
ჩხარის	7.813	93,6
ჭიათურის	27.911	100,2
ხარაგოულის	7.858	78,6
ოკრიბის	8.252	84,8
ონის	4.019	71,4
ამბროლაურის	7.390	84,7
ცაგერის	8.167	101,8
ჩოლურის	1,420	104,4
აბაშის	10.881	66,4
სენაკის	13.252	78,2
მარტვილის	13.587	96,5
ზუგდიდის	7.678	46
ხობის	5.204	54,3
წალენჯიხის	5.004	69,1
ჩხოროწყუს	4.967	52,9
ოზურგეთის	4.103	52,3
ლანჩხუთის	7.129	68,5
ჩოხატაურის	4.859	68,2
ზ. სვანეთში	1.542	77,7
ფოთის	652	101
აფხაზეთში	6.963	12,9
აჭარისტანში	10.202	49,8

ტრაქტორების მოლოდინში

სამტრედია. საქ. კორ. სოფ. ნაჩხეტაურის კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ამხ. გ. გოგიაშვილი) ტრაქტორების მოლოდინშია და არ ცდილობს მუშა-საქონლის გამოყენებას. 21 აპრილიდან 27 აპრილამდე უმიზეზოდ გაცდა 11 უღელი ხარ-კამეჩი და 36 მუშა-ხელი.

გამგეობის თავმჯდომარე აცხადებს — ყანებში ბელტებია, თუ ტრაქტორები დაგვეფარცხავენ დავთესავთო.

კოლმეურნეებს აქ დღემდე არ მიუღიათ შრომის წიგნაკები და არ იციან რამდენი შ.-დღე აქვთ წელს გამომუშავებული. კოლმეურნეებს არც პირადი ანგარიშები აქვთ გახსნილი. მოანგარიშე ამბერკო დოლიძე აცხადებს — პირად ანგარიშებს მაშინ გავხსნი, როცა ყველა სამუშაოები დამთავრდებაო.

სამტრედიის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ საზღვარი უნდა დაუდოს ნაჩხეტაურის კოლმეურნეობის უთავბოლობას.

ა. ზარქუა

მოკლედ

ვანის რაიმიწგანის განკარგულებაში მყოფი ხეხილის საჩვენებელი ბაღი მოუვლელადაა მიტოვებული, ხეხილი გასხლული არ არის, გაშვერილი აქვთ გამხმარი ტოტები. რაიმიწგანი და მისი აგრონომები ამ მდგომარეობის გამოსწორებაზე არ ზრუნავენ.

⁂

საგარეჯოს რაიონში თავი იჩინა მინდვრის თაგვმა და კალიამ. რაიონი მათთან ბრძოლისათვის მომზადებული არ არის. რაიმიწგანის გამგემ **ჭეჭიაშვილმა** წინასწარ არ მოიწვია სამუშაოდ მინდვრის მავნებლებთან მებრძოლი აგროტექნიკოსები, ხოლო მინდვრის მავნებლებთან მებრძოლ სპეციალისტ **ე. ჩიხლაძეს** არავითარი მოსამზადებელი მუშაობა არ ჩაუტარებია.

⁂

თიანეთის რაიმიწგანი ყურადღებას არ აქცევს ტრაქტორისტების კადრის მომზადებას. ტრაქტორისტები დაუფლებულნი არ არიან მანქანის ტექნიკას. სოფ. **ბლების ხევის** კოლმეურნეობაში ტრაქტორისტმა **დ. ზარიძემ** ტრაქტორის აწყობის დროს წესიერად ვერ გაამაგრა საკისრები. ტრაქტორი ამუშავებისთანავე აფეთქდა და დაუზიანდა ნაწილები. ზარიძემ ეს ტრაქტორი შეკეთების მეორე დღესვე დააზიანა. სოფ. **ლალების** კოლმეურნეობაში ტრაქტორისტმა **ლ. ქისტაურმა** დაამტვრია ტრაქტორი, რომლის შეკეთებაც 900 მანეთი დაჯდა.

⁂

სიღნაღი. სოფ. **ბოდბის** კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ თავმჯდომარე **ვანო ხუნაშვილი** კოლმეურნეობას სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევს, კოლმეურნეობაში შეპარულია კულაკური ელემენტი ნიკო ქოქიაშვილი, რომელიც ცდილობს კოლმეურნეობის შიგნიდან დანგრევას. თავმჯდომარე ხუნაშვილი არამც თუ არ ებრძვის კულაკურ ელემენტებს, არამედ ხშირად ქეიფობს მათთან. ხუნაშვილის ნებართვით კოლმეურნეობაში დაკლეს მაკე ძროხა. დროა ამ ამბებს ყურადღება მიაქციოს წნორის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ.

⁂

გურჯაანის სამ. სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელობით გაერთიანდა სოფ. **ჭანდაურაში** არსებული ორი კოლმეურნეობა. გაერთიანებულმა კოლმეურნეობამ საგაზაფხულო თესვის გეგმა ვადაზე ადრე — პირველი მაისისათვის შეასრულა.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა და გაშრობა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში.

ჩაის კრეფასთან ერთად

გაშალეთ პლანტაციების დამუშავება

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა თითქმის ყველგან მასობრივად გაჩაღდა. 5 მაისისათვის უკვე მოკრეფილი იყო 168.592 კილოგრამი ფოთოლი.

ამავე დროს მიღებულია ცნობა, რომ სამეგრელოსა და ქვემო იმერეთში მაისის დამდეგს ცხელმა ქარმა დააზიანა ჩაის მწვანე ფოთლის ნაწილი.

ამ გარემოებამ არავითარი **დემობილიზაციური განწყობილება** არ უნდა გამოიწვიოს. ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა უფრო ორგანიზებულად უნდა წაიყვანონ ჩაის ფოთლის კრეფა. **დაზიანებული ყლორტი აუცილებლად უნდა მოიკრიფოს, რომ არ გაუხეშდეს, მცენარემ მალე ამოიყაროს ახალი ყლორტები და მოსავალი არ შემცირდეს.**

ამისათვის საჭიროა თვითეული პლანტაციის ცალკე საკრეფ ნაკვეთებად დაყოფა, რომ თვითეულ ნაკვეთზე მკრეფავად მიემაგროს გარკვეული პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მისთვის ჩაბარებულ კვლებში ჩაის კრეფისათვის.

მკრეფავი ვალდებულია წინასწარ მოიმარაგოს საჭირო ინვენტარი - სუფთა კალათი (ჩაის ფოთლის ტომარაში ჩაყრა დაუშვებელია), მოკრეფილი ფოთოლი სწრაფად ჩააბაროს მიმღებს, რომ დროზე იქნას მიტანილი ფაბრიკამდე.

ჩაის ფაბრიკები ვალდებული არიან უზრუნველყონ სტაციონალური და მოძრავი პუნქტები ხელსაწყოთი, კადრებით და სატრანსპორტო საშუალებებით. მარტო ავტოტრანსპორტზე დაყრდნობა შეუძლებელია; ავტომობილების რაციონალურად გამოყენებასთან ერთად, ეხლავე უნდა დაიდოს **ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან და ერთპიროვნულ მეურნეებთან მათი ურმების გამოყენების შესახებ.**

არის ცნობები, რომ ზოგან მთელი ყურადღება გადააქვთ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაზე და პლანტაციების მოვლა-დამუშავება მივიწყებულია.

ეს ყოვლად დაუშვებელია. **მწვანე ფოთლის კრეფასთან ერთად უნდა მიმდინარეობდეს პლანტაციების გათოხნა, გახელვა და კულტივაცია.**

ჩაის მწვანე ფოთლის მაღალხარისხოვან კრეფასთან ერთად პლანტაციების საუკეთესოდ დამუშავება არის ახლა ჩაის რაიონების, ჩაის საბჭოთა მეურნეობების, ჩაის კოლმეურნეობების, ბრიგადების და ერთპიროვნული მეურნეობების ყველაზე უფრო სერიოზული ამოცანა.

საჭიროა სასწრაფო ზომები

(ოზურგეთის, ნატანების და მაღალი ეწერის ფაბრიკები არ არიან მზად ჩაის მისაღებად)

ოზურგეთი. (საკ. კორ.), ოზურგეთის ჩაის ფაბრიკა, რომელმაც რაიონის ჩაის მოსავლის უდიდესი ნაწილი უნდა გადაამუშაოს, მოუმზადებელი შეხვდა ჩაის მოსავლის მიღებას. „საქართველოს ჩაიმ“ ფაბრიკები ვერ უზრუნველყო ჩაის რევენდუკებით. მოუწესრიგებელია ჩაის საშრობი განყოფილება. ფაბრიკის მონტაჟი დაუმთავრებელია. ინჟენერ ბანოვის მიერ მიმდინარე წელს აშენებული ღუმელი ექსპლოატაციაში გადასვლისთანავე დაინგრა. ადგილი აქვს ჩაის ფოთლის გადაწვას, პირველი ხარისხის ჩაი მეორე ხარისხში გადადის.

ჩაის ახალი მიმღები პუნქტები რაიონში არ მოუწყვიათ. კოლმეურნეობებს უხდებათ ჩაის გადაზიდვა 15—20 კილომეტრის მანძილზე, რის გამოც ჩაი გზაში ჭკნება.

ჩაის ფოთლის მიღებას მოუმზადებელი შეხვდა აგრეთვე ნატანების ჩაის ფაბრიკა. მაღალი ეწერის ფაბრიკა მოუმზადებლობის გამო, იძულებული გახდა შეეწყვიტა ჩაის ფოთლის მიღება.

საჭიროა სასწრაფო ზომები.

ჩაქვის ჩაის ფაბრიკის საროლერო განყოფილება

მოკრეფილია 168592 კგ. ჩაის მწვანე ფოთოლი

საქართველოს ჩაის ცნობით, 5 მაისისათვის მოკრეფილი იყო სულ 168.592 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი (აპრილი—მაისის გეგმის 10,3 პროც.).

სალიბაურის ჩაის საფაბრიკო რაიონში მოკრეფილია 28.498,5 კილოგრამი (29,3 პროც.), **ჩაქვისაში** — 40,095 კილო (23,3 პროც.), **ბობოყვათისაში** — 13.170 კგ. (12,7 პროც.), **ხუცუბნისაში** — 4.412 კგ. (4,3 პროც.), **ნატანებისაში** — 2.267 კგ. (2,7 პროც.), **ოზურგეთისაში** — 29.373 კგ. (9,2 პროც.), **მაღალი ეწერისაში** — 16.975 კგ. (19,3 პრ.), **ნიგვზიანისაში** — 12.168 კგ. (12,1 პროც.), **ჩოხატაურისაში** — 11.242 კგ. (23,2 პროც.), **უშაფათისაში** — 1.492 კგ. (3,3 პროც.), **ზუგდიდისაში** — 2.524 კგ. (2,2 პროც.), **წალენჯიხისაში** — 2.941 კგ. (10,1 პროც.), გალის ჩაის საფაბრიკო რაიონში — 1.313 კილოგრამი, აპრილ-მაისის გეგმის 1,5 პროც.

ჩაებენ სოცშეჯიბრებაში

სალიბაური

ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დამკვრელთა მიმართვა განვიხილეთ 30 აპრილს. ოჩხამურელების ინიციატივა ყველამ მოიწონა. ვებმებით სოცშეჯიბრებაში, თავს ვაცხადებთ დამკვრელად და ვკისრულობთ ყველა იმ ვალდებულების შესრულებას, რომლებიც ოჩხამურელებმა წამოაყენეს.

ჩვენის მხრივ დამატებით ვიღებთ შემდეგ ვალდებულებას: **ვადაზე ადრე** დავამთავრებთ პლანტაციებში გზების გაყვანას, საუკეთესოდ მოუვლით ჩვენს მეურნეობაში გაშენებულ **ტუნგოს** ხეს. მუშათა საცხოვრებელ ბინებთან მოვაწყობთ ბაღს საზაფხულო სცენით.

სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშათა მონდობილობით: **მ. შავიშვილი, ნ. ჩხარტიშვილი, გ. ჭინჭარაძე, ვ. გეგეშიძე, სასაძე.**

—:—

ლაითური

ჩვენი მეურნეობა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფას მომზადებული შეხვდა. ჩამოყალიბებულია მკრეფავთა **ბრიგადები**, რომლებიც **კრეფის დამთავრებამდე მიმაგრებული არიან გარკვეულ** ნაკვეთებზე.

დროზე დავამზადეთ ყუთები და მოძრავი ფარდულები ჩაის მწვანე ფოთლის მოსათავსებლად. გარდა კურსკონფერენციებისა, ფოთლის კრეფის მაღალხარისხოვნად ჩატარების საკითხი დავამუშავეთ საწარმოო თათბირზე.

შევუდექით ჩაის მწვანე ფოთლის კრეფას. სწორედ ამ პერიოდში მოგვისწრო ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დამკვრელთა მიმართვამ.

ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშების და აგროტექპერსონალის დავალებით: **რამიშვილი, ლლონტი, მესხი.**

—:—

ლესიჭინე

ჩვენი მეურნეობა 48 კილომეტრითაა დაშორებული რკინისგზის სადგურიდან. გზებიც ცუდია, ამიტომ „კომუნისტის“ ის ნომერი, რომელშიაც ოჩხამურის დამკვრელთა მიმართვა იყო მოთავსებული, დაგვიანებით 2 მაისს მივიღეთ.

იწვევა შეკრებები, სადაც გულდასმით ამუშავებენ ოჩხამურელების მიმართვას. ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშები და სპეციალისტები ენტუზიაზმით ხვდებიან ოჩხამურელთა ინიციატივას, ებმებიან სოცშეჯიბრებაში, თავს აცხადებენ დამკვრელად და კისრულობენ ყველა იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც წამოყენებულია ოჩხამურელების მიერ.

ვ. მაღლაკელიძე, ო. ჯუღნია, ვ. ჯაჯია, მ. რამიშვილი.

122 ავტომანქანა იმუშავებს ჩაის გადაზიდვაზე

ამჟამად მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლის გადაზიდვაზე მუშაობს 77 საბარგო ავტომანქანა. ამ დღეებში **ტფილისიდან მობილიზაციის წესით გაიგზავნა ჩაის რაიონებში 11 საბარგო ავტო-მანქანა; მოსკოვიდან და ლენინგრადიდან მაისის განმავლობაში მიღებული იქნება 34 მანქანა.**

ამრიგად ჩაის მოკრეფილი ფოთლის გადაზიდვაზე იმუშავებს 122 საბარგო ავტომანქანა 204,5 ტონა ტვირთტევადობით.

ცეცხლი—ყალბი მიმართულებით

მოსკოვი, 7 მაისი. მიმდინარე წელს მრეწველობის თითქმის ყველა დარგმა გაადიდა პროდუქციის გამოშვება გასულ წელთან შედარებით. ეს ეხება ნავთსაც. ოთხი თვის განმავლობაში 1933 წლის აპრილამდე „აზნავთის“ ტრესტმა ამოიღო 4.129 ათასი ტონა ნავთი—მიმდინარე წლის კი ამავე ხნის განმავლობაში 46,4 პროცენტით მეტი. დამახასიათებელია, სხვათა შორის, რომ მექანიზებული ამოღება, რომელიც ყველაზე უფრო ნაკლებ არის დამოკიდებული შემთხვევებსა და კაპრიზებზე, საკმაოდ თვალსაჩინოდ იზრდება აგრეთვე შედარებით 1933 წლის მეოთხე კვარტალთან, რომლის განმავლობაში, როგორც ვიცით, ნავთის ამოღება ბაქოს რაიონში ძლიერ გაიზარდა. მაგრამ „აზნავთი“ გეგმას მაინც ვერ ასრულებს.

ბაქოს პარტიული ორგანიზაცია ამჟამად დიდ მუშაობას აწარმოებს აზნავთის აპარატის გარდაქმნისათვის. უკანასკნელ წლებში „აზნავთის“ აპარატში ბევრი ხავსი, რუტინა და ნაგავი დაგროვდა.

ამჟამად „აზნავთი“ დაწვრილებულია, შექმნილია სამი ტრესტი: ბურღვის, ექსპლოატაციის და გადამუშავების. იქმნება ინჟენერთა ახალი კადრები, სამეურნეო მუშაკების წინაშე დასმულია ამოცანა — ნავთიანი წიაღის ექსპლოატაციის ახალი უფრო სრულყოფილი მეთოდების დანერგვა, უკანასკნელ ტექნიკურ გამოგონებათა გამოყენება, რომლებიც „აზნავთში“ საკმაოდ ბევრია და რომლებიც მთელი რიგი წლების განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული. „აზნავთის“ ძველი ხელმძღვანელობა არ აწარმოებდა ბოლშევიკურ ბრძოლას ახალი ტექნიკის დანერგვისათვის. და, ბოლოს, ამჟამად ლიკვიდირებულია უსარგებლო-ბიუროკრატიული რგოლები, რომელთა მეოხებით ტრესტის ხელმძღვანელობა დაშორებული იყო ჭაბურღილებს. საქმესთან გაუცნობელ ადამიანისათვისაც კი აშკარაა, რომ ჩვენ აქ ვხედავთ სახკომსაბჭოს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ქვანახშირის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების და მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა შეფარდებას ნავთის ამოღების პირობებთან. მუშაობის ამ გარდაქმნას ბაქოში, ისე როგორც თავის დროზე დონბასში, უაღრესად მტრულად შეხვდენ ბიუროკრატები, რომელნიც შეეჩვიენ მუშაობის ძველ მეთოდებს. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, პარტიის სამხარეო კომიტეტი და ბაქოს კომიტეტი ამჟამად მუშაობენ იმაზე, რომ გასტეხონ საბოტაჟი და აამოქმედონ მუშები, საინჟენერო-ტექნიკური ძალები და კომუნისტები პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის. ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა შეიმუშავა „აზნავთის“ გარდაქმნის კონკრეტული გეგმა.

ასეთია სინამდვილე. მაგრამ იგი გაუგებარია „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ კორესპონდენტისათვის ამხ. გ. ოლენევისათვის. „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ გუშინდელ ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია, რომელშიაც ბაქოს ბოლშევიკების ბრძოლა ასახულია მრუდედ, ფაქტები დამახინჯებულია და იქმნება სინამდვილის პაროდია.

და მართლაც. როგორ აფასებს კორესპონდენტი „აზნავთის“ მდგომარეობას?“.

იგი წერს: „აზნავთი“ შეუწყნარებლად ნელი ტემპით ახდენს მუშაობის გარდაქმნას. რამდენად უფრო რეალურად ისმება გარდაქმნის საკითხები, იმდენად უფრო საგრძნობი ხდება წინააღმდეგობა, საბოტაჟი“.

თითქოს დასკვნა თავისთავად იგულისხმება — პარტიული ორგანიზაცია ვალდებულია ყოველივე ღონე იხმაროს იმისთვის, რომ გასტეხოს საბოტაჟი, მიაღწიოს ნამდვილ გარდაქმნას, ჩაწვდეს საქმის ყოველ დეტალს.

მაგრამ სულ სხვა დასკვნები გამოყავს მიამიტ კორესპონდენტს. იგი თავს ესხმის მიქოიანის რაიპარტკომს სწორედ იმისთვის, რომ უკანასკნელი აწარმოებს ნამდვილ კონკრეტულ ბრძოლას გარდაქმნისათვის და წვდება სარეწაოს ცხოვრების ყოველ მხარეს. ძალიან კარგი კომუნისტები არ იქნებოდენ, მაგალითად, დონბასელები, ქვანახშირის მრეწველობაში საბოტაჟის დროს რომ დაკმაყოფილებულიყვნენ ზოგადი ლაპარაკით „მაქსიმალური სიფხიზლის“ შესახებ როგორც ამას ბაქოელებს ურჩევს ოლენევი.

ეს კორესპონდენტი, მიუთითებს რა, რომ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი „იჩენს უხერხემლობას, ცდილობს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა“, მოულოდნელად დაასკვნის: „განა აშკარა არ არის, რომ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე საზიანოა ცალკე პარტმუშაკთა ადმინისტრატიული ალტყინება, საზიანოა სამეურნეო მუშაკების მაგიერობის გაწევის, მათი შეცვლის ტენდენცია“.

დახეთ, რა ლოგიკაა!

ერთის მხრით, გარდაქმნისადმი წინააღმდეგობა, საბოტაჟი, უხერხემლობა და მომაკვდინებელი ცოდვები; მეორეს მხრით — დაუსაბუთებელი ბრალდება ადმინისტრატიულ ალტყინებაში და გარდაქმნის საქმისაგან თვითგანდგომის და არსებითად სამოქმედო ასპარეზის საბოტაჟნიკებისათვის დათმობის მოთხოვნა.

კორესპონდენტი აშკარად იმყოფება მუშაობის ძველი მეთოდების და იმ ადამიანების გავლენის ქვეშ, რომელნიც ცდილობენ სამეურნეო მუშაკები დაუპირისპირონ პარტიულ ორგანიზაციას.

იგი ცდილობს თავისი უმეცარი და პოლიტიკურად შემცდარი დასკვნები დაფაროს განცხადებით იმის შესახებ, რომ: „აზნავთის“ გარდაქმნისათვის ბრძოლის საფარით ზოგიერთ სარეწაოს პარტიული ორგანიზაცია ბაქოში არღვევს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძირითად პრინციპს“.

რასაკვირველია, ოლენევს თავისებურად ესმის ხელმძღვანელობის ბოლშევიკური პრინციპები. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება ის სითამამე, რომლითაც იგი ბრალს სდებს მიქოიანის რაიპარტკომს ელემენტარულ არაკეთილსინდისიერებაში. ნამდვილად კი კორესპონდენტი სწორედ გარდაქმნისათვის ბრძოლის „საფარით“ აქეზებს და იცავს საბოტაჟს.

როგორც ყველაფრიდან ჩანს, „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ კორესპონდენტი იმყოფება დამპალი ადამიანების გავლენის ქვეშ. ისინი უკმაყოფილო არიან „აზნავთის“ სამეურნეო ხელმძღვანელობით, რომელიც სპობს ძველ, კონსერვატიულ ტრადიციებს (გამოტოვებულია). მაშ როგორ უნდა ავხსნათ ასეთი ფაქტი, რომ „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ კორესპონდენტმა ბაქოში ამხ. გერშფელდმა ორჯონიკიძის სახ. სარეწაოს უფროსს ამხ. ბორეცს, რომელიც დანიშნულია უაღრესად საპასუხისმგებლო სამუშაოზე „აზნავთის“ სამმართველოში, მიმართა შემდეგი განცხადებით:

„თქვენ „აზნავთში“ დაგნიშნეს არა „აზნავთის“ ხელმძღვანელობის განმტკიცების თვალსაზრისით, არამედ ჩამოგაშორეს რაიონს იმიტომ, რომ რაიკომის მდივანს ამხ. ნარიმანოვს თქვენ ნებას არ აძლევდით გაეწია სამეურნეო ხელმძღვანელობის მაგიერობა... ბაქოს ორგანიზაციაში ასეთი ხაზია: სარეწაოებზე ნიშნავენ რაიკომების ძლიერ მდივნებს და სუსტ დირექტორებს“.

გაზეთების კორესპონდენტებს განა როდიდან მიეცათ ნება ავრცელონ ჭორები და ცილი დასწამონ ბაქოს პარტიულ ორგანიზაციას? გერშფელდის ეს სანუკვარი აზრები ამხ. გ. ოლენევმა ჩამოაყალიბა „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ პირველ გვერდზე. უნებლიეთ იბადება კითხვა — ერთი და იგივე პირი ხომ არ ეფარება ოლენევის და გერშფელდის გვარებს? და განა აშკარა არ არის, რომ ოლენევ-გერშფელდი გამოხატავს არა პარტიულ ხაზს, არამედ ოპორტუნისტული ელემენტების პოზიციას.

ასეთი დახმარება როდი ესაჭიროებათ „აზნავთს“ და ბაქოს პარტიულ ორგანიზაციას. „აზნავთს“ უნდა დავეხმაროთ, რათა მან ყოველ მიზეზს გარეშე შეასრულოს გეგმა. „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ კორესპონდენტებმა ალბათ იციან, რომ ბაქოში არ იგზავნება ყველა მოწყობილობა, რაც საჭიროა სარეწაოების ექსპლოატაციისათვის. რატომ არ უნდა დავეხმაროთ ნავთის მუშაკებს იმით, რომ ნამდვილად გავაკრიტიკოთ ჩვენი ქვეყნის წინაშე ის ქარხნები, რომელნიც არ ასრულებენ „აზნავთის“ მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს. ამის ნაცვლად გაზეთი ბეჭდავს კორესპონდენციას, რომელიც ფრთებს ასხამს საბოტაჟნიკებს და ორიენტაციას უკარგავს ადამიანებს, რომელნიც იბრძვიან ნავთის ამოღების გეგმის შესრულებისათვის.

განა ცხადი არ არის, რომ ამ შემთხვევაში გაზეთმა, რომელიც პარტიულად იბრძვის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის, არასწორი ინფორმაცია მიიღო თავისი კორესპონდენტისაგან და ცეცხლი დაუშინა ყალბ ნიშანს.

(„პრავდა“ 6 მაისი).

მარგანეცი

5 მაისს

სასაქონლო პროდუქციის გამომუშავება (ტონებით)

გეგმა	ფაქტიური	%
3.026	2.882	95,2

ვაგონების მიწოდება

მოთხოვნა	მიაწოდეს	დაიტვირთა
190	153	153

ჩამორჩენა ღრმავდება

ხე-ტყის დამზადება აპრილში

საქ. სატყეო მრეწველობა კვლავ ძალზე ჩამორჩენილია. აპრილში, პირველ კვარტალთან შედარებით, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა;

საქ. სატყეო ტრესტის ხაზით აპრილში გეგმით უნდა დახერხილიყო 5400 კუბომეტრი, ფაქტიურად დაიხერხა 3805 კუბომეტრი, რაც გეგმის 70,4 პროცენტს შეადგენს. **ტრესტის სისტემაში შემავალ 13 სახერხი ქარხნიდან აპრილის გეგმა მთლიანად არცერთს არ შეუსრულებია.** განსაკუთრებით ჩამორჩენილია ფოთის (დახერხვის გეგმა შესრულებული აქვს—11,3 პროც.), ყულევის (10,1 პროც.), და ჭურისხევის (3,1 პროც.) სახერხი ქარხნები.

სატყეო - სამრეწველო მეურნეობანი დროზე ვერ ამარაგებენ სახერხ ქარხნებს საჭირო ნედლეულით. ამის გამო ადგილი აქვს ქარხნების გაჩერებას. ასე, მაგალითად, ნედლი მასალის უქონლობის გამო, ჭურისხევის ქარხანამ აპრილში იმუშავა მხოლოდ 3 დღე, დანარჩენ დროს იგი უმოქმედოდ იდგა.

ძალზე ცუდი მდგომარეობაა ხე-ტყის დამზადების, გამოზიდვის და, დაცურების დარგში.

გეგმით აპრილში ხე-ტყე უნდა დამზადებულიყო 75.886 კუბომეტრი, ფაქტიურად დამზადდა 20.475 კუბომეტრი — ანუ გეგმის 27 პრ., უნდა გამოეზიდათ 81.759 კუბომეტრი, გამოზიდეს 17.964 კუბომეტრი, გეგმის 22 პროც.; წყლის ნაპირზე ხე-ტყის მოზიდვის გეგმა შესრულებულია 20,7 პროც., დაცურების — 10,6 პროცენტით.

როგორც მოყვანილ ციფრებიდან ჩანს, სატყეო მრეწველობა სერიოზულ გარღვევას განიცდის. ცალკე სატყეო - სამრეწველო მეურნეობების მიხედვით გეგმის შესრულება ასეთ სურათს იძლევა (პროცენტებში).

	დამზადება	გაზიდვა
ფოთის	22,7	16,2
ხობის	23,7	14,6
სვანეთის	28,9	—
წალენჯიხის	—	—
ჩხოროწყუს	140	6,0
აჭარისტანის	7,5	22,1
ამბროლაურის	145,1	142,0
ჩოხატაურის	160,0	—
ქუთაისის	397,0	397
ხარაგოულის	17,6	6,5
ოზურგეთის	71,3	31,6
ჭიათურის	—	37,4
სამხ. ოსეთის	6,8	3,5
გორის	111,1	18,1
გურჯაანის	23,5	74,6
ტფილისის	25,3	18,3
თელავის	62,3	43,1
ბორჩალოს	1,5	—
ყვარლის	30,8	90,4
სტალინისის	0,7	0,7
ქვემო სვანეთის	15,3	7,3
ბაღდადის	155,1	234,5
მარტვილის	—	—

მოყვანილი ცნობები მოწმობენ საქართველოს სატყეო მრეწველობის უხეირო მუშაობას აპრილში. ასევე უხეიროდ მუშაობდა იგი პირველ კვარტალში.

რაშია გეგმების შეუსრულებლობის მიზეზი?

იგი თვით საქ. სატყეო ტრესტის უთავბოლო მუშაობიდან გამომდინარეობს. ძირეულ საწარმოო რგოლებზე არა საკმაო დახმარება, ხელმძღვანელობის კანცელარულ - ბიუროკრატიული მეთოდები, აპარატის გარდაუქმნელობა, ფუნქციონალობა და საერთოდ სამეურნეო და, პარტიული მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენება ცენტრსა და ადგილებზე — აი სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზი.

გეგმის შეუსრულებლობის ერთერთ მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე მუშა - ხელის ნაკლებობა. ტრესტის მასშტაბით აპრილში ხე-ტყის დამზადებაზე უნდა ემუშავა 1876, კაცს, ფაქტიურად მუშაობდა 522, გეგმის 27 პროც.; გამოზიდვაზე უნდა ემუშავა 5295 კაცს, მუშაობდა 558, გეგმის 10,5 პროც., დაცურების სამუშაოები უზრუნველყოფილი იყო მუშა - ხელით მხოლოდ 10,4 პროც. აქვე უნდა აღინიშნოს, ხელფასის დიდი დავალიანება (მილიონ ნახევრამდე აღწევს), რომელიც ძლიერ უშლის ხელს მუშების დამაგრებას.

გეგმის შესრულებაზე გავლენას ახდენს როგორც ავტო - მანქანების, ისე ცოცხალი გამწევი ძალის სიმცირე, საგზაო და კაპიტალური მშენებლობის ჩამორჩენილობა და მუშათა ცუდი საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობები, რასაც ტრესტი ძალზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია. დროა, დიდი ხანია, დროა საქ. სატყეო ტრესტმა გარდაქმნას თავისი მუშაობა, გააძლიეროს ადგილების მიმართ ხელმძღვანელობა და დახმარება, მოსპოს ფუნქციონალობა და კანცელარშჩინა და სწორი სამეურნეო ხელმძღვანელობის გატარებით უზრუნველყოს მიმდინარე წლის საწარმოო გეგმების აუცილებლად შესრულება.

ტყის რაიონების პარტიულმა კომიტეტებმა ყოველგვარი დახმარება, უნდა აღმოუჩინონ სატყეო - სამრეწველო მეურნეობებს გეგმებისათვის ბრძოლაში.

ვ. გაბუნია.

ტლმენი, სერ არჩიბალდ მეკეში, ამ ისტორიული დოკუმენტების გაცნობით, ისტორიის მოგონებით? საქმე ისაა, რომ არჩიბალდ მეკეშს ესმის ქართული მიწის ყივილი... პერგამენტზე ხელთნაწერი თავდება ასეთი მინაწერით: „ირუბაქიძეს ჰყავდა ორი ვაჟი: მაყა და ჩოლოყა“. აქედან წარმოიშვენ მაყაშვილები, და ჩოლოყაშვილები დიდი თავადები ირუბაქიძის ხალით მკერდის შუაგულზე—ნიშნით მზის. ესეც ასეა, ალბათ, ისტორიას ნუ შევედავებით—„გველის პერანგში“ განსაკუთრებით.

საკვირველია მაინც: რა შუაშია აქ სერ არჩიბალდ მეკეში, კაცი ჯენტლმენი და ევროპიელი. მეკეში ხომ არც ჩოლოყაშვილია, არც—მაყაშვილი. მოითმინეთ, ნუ ადელდებით! არჩიბალდ მეკეში პერგამენტებთან ერთად რვეულსაც წააწყდა, საკუთარი მამის ხელით დაწერილი, ახლა იხსნება საიდუმლოების მთელი კვანძი, მისტერია აღწევს უმაღლეს წერტილს. აქ ბრწყინვალედ თავდება რომანის ავტორის აშორდიული ვირტუოზობა. მეკეშის მამა მოგვითხრობს საკუთარ ისტორიას, რვეულში ნაამბობია:

მე—თამაზ მაყაშვილი, გადმოხვეწილი საქართველოდან. ვწერ ბოლო სიტყვას. მეც ხომ ირუბაქიძე ვარ. ჩვენი გვარი ბოლო საუკუნეებში კახეთს დაბინავდა—იყალთოში. მოედვა სენი: შნედა და შეშლილობა. მამაჩემი იმერეთში გადასახლდა: საირმეს ახლო. იქაც გაჰყვა უბედურება... დამრჩა 4 წლის ვაჟი. მომადგა გადაშენება. გავყიდე მამული გარდა ეზოსი სახლით და სავვარეთი. მივაშურე ევროპას... ევროპაში ვაჟიც თან წამოვიყვანე. სახელი არჩილ არჩიბალდათ შევუცვალე. გვარად მეძახიან „მაყაში“. „მეკეშად“ გადავაკეთე... მკლავს სევდა საქართველოსი.

არჩიბალდ მეკეში სავსებით გამოირკვა! არჩილ მაყაშვილი, შთამომავალი მემკვიდრე დიდი თავადი ირუბაქ ირუბაქიძის, აი ვინ აღმოჩნდა სერ არჩიბალდ მეკეში, მეკეში—გადაგვარებული, გაევროპიელებული ქართველი, მაგრამ მაინც ქართველი. მაღალი, დახვეწილი რასის სისხლი და ხორცი, პირდაპირი შთამომავალი დიდი თავადის არჩილ მაყაშვილიც, ალბად, ატარებს მკერდის გულზე ხალს, გვაროვნულ დაღს—ნიშანს მზის. იმერეთი, სოფ. საირმე—აი სადაა არჩიბალდ მეკეშის მშობლიური მიწა ქართული მიწის ყივილი, ქართული სისხლის ძახილი! არჩიბალდ მეკეში, უკვე არჩილ მაყაშვილი, უბრუნდება თავის „ეზოს სახლით და სავვარეთი“, უბრუნდება საირმეს, ირთავს ქართველ გოგონას, ქართულ მიწაზე იმაგრებს ფეხს.

არჩიბალდ მეკეში ჩამოიხსნის მკერდიდან საფირონისფერ ბოხჩას, რომელსაც ატარებს ბავშობიდან. ბოხჩაში—მედალიონი მამის და... ქართული მიწა, მამის მიერ საირმიდან ევროპაში წამოღებული. თრთოლვალი ხელით ამოიღებს მიწას, აკოცებს ღვთაებრივი სასოებულით და მიაფანტ-მიაფანტავს. ქართული მიწა დაბრუნდა ევროპიდან და ქართულ მიწასვე შეუერთდა!

[illegible] „გველის პერანგი“, [illegible] „უკანასკნელი ირუბაქიძის ყივილით“. [illegible]: ქართული დახვეწილი რასა, სამშობლო მიწის ტრფიალი, მაგარძარღვიანი შოვინიზმი, ზოოლოგიური ნაციონალიზმი, სოფელთან დაბრუნება—„სოფლის ცხოვრების იდიოტიზმის იდეალიზაცია.

მაგრამ, ეს არაა ყველაფერი. აქ მეორე მომენტიცაა, არსებითი ავტორისათვის.

არჩიბალდ მეკეში არჩილ მაყაშვილია, მაყაშვილი—ირუბაქიძე, ირუბაქიძე კი—იგივე რობაქიძეა. ამაშია რომანის მთელი საიდუმლოება. არჩიბალდ მეკეში, რომანის გმირი, იგივე გრიგოლ რობაქიძეა. საკმარისია მივაგნოთ ამ ჭეშმარიტებას, რომ ნათელი გახდეს „გველის პერანგის“ მთელი პრობლემა.

ასე გამოდის: ჩვენი გრიგოლა რობაქია, „ნაშიერი“ დიდი თავადის ირუბაქ ირუბაქიძის, რომელიც მკერდის შუაგულზე ხალს ატარებდა, დაღს დიდი გვარის, დიდი თავადის. რობაქიძე-ირუბაქიძის უკანასკნელი ნატეხია. მის ძარღვებში ჩქეფს ცისფერი სისხლი, რობაქიძე დიდი თავადის უკანასკნელი მოგიკანია. მოდით და ნუ გაიცინებთ, ასეთი ფოკუსი აშორდიასაც გააკვირვებდა!

დიდ თავადს ირუბაქ ირუბაქიძეს და ყველა მის „ნაშიერს“ გველისადმი აქვთ განსაკუთრებული მიდრეკილება. თავად ირუბაქიძეს სიამოვნებას გვრიდა ხილვა „რქანაყარი გველი რომ იხდის პერანგს ცხელ ქვიშაზე“. გრიგოლ რობაქიძე—„მემკვიდრე ირუბაქიძეების—უტეხი ირუბაქიძეების“—თავის რომანს „გველის პერანგს“ უწოდებს და ამ რომანით სურს გამოხატოს „უკანასკნელი ირუბაქიძის ყივილი“. ამაშია სისხლის ძახილი. დიდ თავად ირუბაქიძეების ზნე, ჩვეულება, თავადური ტრადიცია რობაქიძეში პოულობს გამოძახილს. „გველის პერანგში“ გველივით იკლაკნება გრიგოლ რობაქიძე: „მხატვრული“ სახეები, შედარებანი, მეტაფორები სულ გველზე აქვს აგებული.

— „ტაბა ტაბაი ზის უძრავად როგორც გველი ქვიშაზე გაშოლტილი“,—„თვალები: ორი დიდი ნაკვერჩხალი სახეზე შავი გველები ბანაობენ“, „ასეთი თვალები გველს აჩერებენ ცხელ მიწაზე“,—„ფორმით: უზარმაზარი გველის თავი“,—„ფერად შავი: თითქო შავ მდინარეში შავი გველი გაკვალთული“,—„ფიქრებს ჭრელი გველი უსერავს“—„წითური გველი“.

ასეთია „გველის პერანგის“ მხატვრული სტილი. სტილი ხომ ადამიანია თითონ. რობაქიძის სტილი „უტეხი ირუბაქიძეების“ სტილია. განა ეს არ კმარა იმის საბუთად, რომ გრიგოლ რობაქიძე უდაო „მემკვიდრეა ირუბაქიძეების“??

არა, არ კმარა.

დიდ თავადს ირუბაქ ირუბაქიძის „მკერდის შუაგულზე ხალი ჰქონდა: მზის ნიშანი გვარის დაღიაო ამბობდა“, იბადება ეჭვი; გრიგოლ რობაქიძეს—„უტეხი ირუბაქიძეების“ უკანასკნელ ნატეხს, ხომ არ აქვს მკერდის შუაგულზე დაღი, მზის თუ არა სხვა რამე ნიშანი?

ლიახ, აქვს გრიგოლ რობაქიძეს დაღი პერდისა და შუბლის შუა—გულზე, დაღი სისხლიანი ფაშიზმის...

⁂

სძულს გრიგოლ რობაქიძეს ტფილისი.

დაუჯერებელია ეს ამბავი, მაგრამ ინებეთ და ნუ დაიჯერებთ?

ტფილისი—„ქალაქი წყეული და უტკბილესი“. ტკბილია ტფილისი და თან მწარე. ტკბილია, რადგან—„აქ დაბორგავდა ძველი გვარი ირუბაქიძის, რობაქიძეს უყვარს ტფილისი ტფილისის გარეშე ქართული რასა ვერ იარსებებს. ტფილისი რასიული ქალაქია ამიტომაც უყვარს ტფილისი რობაქიძეს ტფილისი ძველი უტეხი ირუბაქიძეების ცისფერი სისხლის და ცისფერი ყანწების ტფილისი თეთრი და შავი არისტოკრატების ასეთი ტფილისი „უტკბილესი“. „გველის პერანგი“ დაწერილია ამ ტფილისისათვის.

ეს ტფილისი უკვე აღარ არსებობს. სასახლეზე ფრიალებს პროლეტარული დიქტატურის წითელი ალამი. ირუბაქიძეების საყვარელი ყვითელი ფერი საზიზღარია წითელ ტფილისში. „გველის პერანგის“ იდეოლოგია აღმოფხვრილია საკმაოდ. ეჭვს გარეშეა, გრიგოლ რობაქიძის დრამატულ სიმფონიებს, ფანტასმაგორიებს, პასტორალებს, ტრაგედიებს, რომანს ლირიკას, კრიტიკულ შენიშვნებს, მისტერიებს პროლეტარული ტფილისი აღარ მოითმენს. სწორედ ასეა ის:

როცა ტფილისში ტყე მღელვარებდა
და ავჭალაში ჰკიოდა ტურა,
იმ ხანისათვის თუ ივარგებდა
თქვენი მხატვრული ლიტერატურა!

ამიტომ ძულს ტფილისი გრიგოლ რობაქიძეს, ძულს, „წითური გველის“ სიძულვილით. ტფილისი—„ქალაქი წყეული“. გველის პერანგოსანი აშკარად ასკვნის [illegible]: „ტფილისში ძნელია სიცოცხლე“. ორში ერთი: ან დატოვება ტფილისის ან—რასიული იდეოლოგიის. რობაქიძემ პირველი გზა აირჩია. ისტორიულია, ფაქტია: „საქართველო იოვანე ბერმაც მიატოვა“. ჩვენი ბერიც—„გველის პერანგის“ ავტორი—ტოვებს საბჭოთა საქართველოს, სადაც მართლაც აუტანელია სიცოცხლე ირუბაქ ირუბაქიძეებისათვის.

და, აი, მიდის გერმანიაში ჩვენი „არჩიბალდ მეკეში—მაგარი მეკეში—მემკვიდრე ირუბაქ ირუბაქიძეების—უტეხი ირუბაქიძეების“. მიდის რასიულ იდეოლოგიით, შოვინიზმით, ნაციონალიზმით, სოფლის ცხოვრების იდეალიზაციით „დაყურსული და ატეხილი“. ჯიბეში უდევს მეექვსე საუკუნის პერგამენტი ქართული ხელთნაწერით, აშორდიას დოკუმენტი, საბუთად იმისა, რომ რობაქიძე იგივე ირუბაქიძეა, თავადი დიდი და უტეხი, ფაშისტურ გერმანიაში მართლაც.

В добрую почву упало зерно..

გველმა პერანგი გამოიცვალა. „გველმა თავისი თავი დატოვა: მოიხსნა და გადააგდო“. გველი იცვლის პერანგს, მაგრამ არა საკუთარ არსებას—გველი გველად რჩება მაინც, უფრო საშიშ, გაახალგაზრდავებულ გველად.

მიხაკისფერი ყანწით—ფაშ[illegible] დაღით მკერდის შუაგულზე—სცემს გრიგოლ რობაქიძე გერმანულ ფაშიზმს, მისი დამპალი კულტურის, რასიული იდეოლოგიის სადღეგრძელოს...

(დასასრული იქნება).

პატარა ფელიეტონი

ჰერცოგი ბადრიძე ოპერაში

Герцог, герцог,
что случилось, что с тобой?!
(გუნდი — ოპერა „რიგოლეტო“-დან)

ახწიეს ფარდა...

ოსფრ... და ლურჯად ალივლივებულ სცენაზე გამოჩნდა ახალგაზრდა ჰერცოგი. მისი გული დაისრულია... ოო, ძნელია გულის სიყვარულით დაარება! მაგრამ ჰერცოგმა იცის რომ „ლამაზი ქალი სანდო არ არის...“ და რამდენიმე სავსე თიალას ამოცლის უკანასკნელად დაცლილ ფიალას შეისვრის ჰაერში და ჯერ ჩუმათ. შემდეგ ლოთური [illegible] „კაკ ვეტერ მაია“ აქ უცებ შეწყდა თავაშვებული არია, ხოლო პარტერიდან კი მოწყდა ტაში და ძახილი „ბადრიძე! ბადრიძე! ბის! ბიიის!“ ჰერცოგი ბადრიძე რევერანსებს აკეთებს მადლობის ნიშნათ. მაგრამ პარტერი [illegible] არ ჯერდება მოითხოვს განმეორებას და ლოჟებიდან, პარტერიდან და იარუსებიდან აშლილ მტრედებივით ცვივა სცენაზე ყვავილები. იგი ეკუთვნის არა ვერდის (ოპერის ავტორს) არა, ჰერცოგს — დავით ჰერცოგს.

— О, душка он, душка!

— Он незаменим в этой роли.

დაციგლიგებს ეს სიტყვები ფრთ არ[illegible] ქალიშვილების ტუჩიდან ტუჩებში...

და ფარდა დაეშვა... ყველაფერი გათავდა. მაგრამ ყველაფერი გათავდა კი?

არა, და[illegible] ჰერცოგი — ჩვენი დათიკო ბადრიძე მიყრდნობია ოპერის თეატრთან მისავალ საფეხურების ბოძს (მას ხომ საოპერო თეატრის ბოძათ მოაქვს თავი) და გაჰყურებს რუსთაველის პროსპექტს, როგორც ჰერცოგი როგორც რაინდი, თუმცა მას ეხლა ჩვეულებრივი თალხი ფერის ჩარლსტონი აცვია ის ეხლაც ღიღინებს ვერდის მუსიკას:

თეთრი ზეწარი ჩემი არ არის,
მე არ მარგუნა თავართქილაძემ...
თუ ანდღულაძეს ოთხი მიართვა,
თავართქილაძე ორს მაძლევს მაოტო.
თუ მაგ ზეწრებში აღარ გავხვიე
მე არ ვყ[illegible] იარ ბადრიძე დათო!

ეს უკანასკნელი სიმღერაც მოსწყვიტა ქარს, კაკ ვეტერ მაია. მაგრამ პროსპექტის ასფალტს ტაში არ დაუკრავს და არც ქვაფენილები აყრილა ყვავილებად.

—:—

4 მაისი. ოპერის თეატრში საღამოს მიდის რადამესის ცოცხლად დასაფლავება აიდასთან ერთად. მაგრამ დილით კი, რიგ გარეშე, დირექციის კაბინეტში გათამაშდა დრამატიული სცენა „ოპერიდან“ „სიმღერა ზეწარზე“. მთავარ როლში გამოვიდა ბოქსიორ დავით ბადრიძე.

კაბინეტში ახალი ფარდა არ არის. სავარძელში ზის ოპერის თეატრის რწმუნებული მომარაგების დარგში ამხ. თავართქილაძე. ის მარჯვენა მკლავის იდაყვით დაყრდნობია მაგიდას და დასცქერის პორტფელს ჩაფიქრებული. ის წუხს, რომ ვერ იშოვა იმდენ ზეწარი; რათა ყველა მსახიობს რგებოდა. უცებ დასჭექ-დაჰქუხა და გრიგალმა შემოამტვრია კარი. შემოიჭრა კაბინეტში დაკუმშული მუშტით შეჭურვილი რაინდი, ლირიულ ტენორით ჩარლსტონიანი ჰერცოგი დავით ბადრიძე, რამდენიმეჯერ შეატრიალა ჰაერში მუშტი და დედის გინებით. ეცა თავართქილაძეს

— ორი ზეწარი მე? ეს ოთხი შენ, — და თავართქილაძის თავზე გორდენ მუშტები.

— ოთხი ზეწარი ანდღულაძეს? ჩამოსულს, შორეულს? ეს რვა შენ — და ეხლა კი მუშტებთან ერთად თავურიც ხტყორცნა. ამ ლირიულ ტენორს თურმე სქელკანიანი ჯავშანიც ჰქონია! იგი ეხლა კი არ ღიღინებს, ღრიალებს ცოფმორეული და იგინება ხულიგნურად. რამდენიმე წუთის შემდეგ ვეფხურ-გახელებული იგი კაბინეტიდან ვაიყვანეს. ბადრიძე გზა და გზა ყვიროდა; თეთრი ზეწარი! თავართქილაძე!

ასე გათავდა ერთი სურათი. ხოლო შემდეგი სურათი გადატანილია სასამართლოში, რისთვისაც „ლიბრეტოს“ ამზადებს ოპერის თეატრის იურისკონსულტი ამხ. ღვამიჩავა სათანადო აქტის შედგენით მომღერალ ბადრიძის ხულიგნურ მოქმედებებზე ოპერის თეატრში. (საფუძველი: ოპერის თეატრის დირექტორის კანცელარიის ბრძანება № 137, 1934 წელი, 4 მაისი. პარაგრაფი 1. რის ძალითაც მომღერალი ბადრიძე მოხსნილია ოპერის თეატრიდან).

ვასო. ჩაჩიბაია

წყალტუბო მზადაა

—

საზაფხულო სეზონი იწყება 15 მაისს

წყალტუბოში საზაფხულო სეზონი იხსნება 15 მაისს. ამჟამად მიმდინარეობს ბინების და აბაზანების რემონტი. შეკეთებული და გაფართოებულია № 1 და № 2 სანატორიუმების შენობა, წარმოებს № 1 აბაზანის, ჰიგიენურ აბანოს და საკურორტო სასადილოს შენობების რემონტი. პარკში არსებული ძველი [illegible]ები აიღეს და მათ ადგილზე გაშენებული იქნება ბაღი.

ავადმყოფთა კვების გასაუმჯობესებლად კურორტს გადაეცა მაღ[illegible]აკის მეცხოველეობის ფერმა სადაც მოწყობილია აგრეთვე დიდი ბოსტანი, კურორტის გამწვანების მიზნით წელს გაშენებული იქნა ტყე 75 ჰექტარზე.

მდ. წყალტუბოს ახალ კალაპოტში გადასაგდებად უკვე მზად არის მარჯვენა არხი, რომელშიაც ამ დღეებში გაუშვებენ წ[illegible]ს. დამთავრებულია მარცხენა არხის შავი სამუშაოებიც, ახლო ხანში დაიწყება არხის დაბეტონება. ამ არხის დამთავრებით აბაზანების ნორმალური მუშაობის საკითხი გადაწყვეტილი იქნება. მდ. წყალტუბოს ახალ კალაპოტში გადაგდების შემდეგ წყალი ვეღარ შეიჭრება აბაზანებში და მათი შეუფერხებელი მუშაობა უზრუნველყოფილი იქნება.

წელს შემოღებულია კურორტზე მოსულ ავადმყოფთა ტანისამოსის დეზინფექცია, სამისოდ ჰიგიენურ აბანოსთან დადგმულია სპეციალური კამერა, სადაც დეზინფექცია იწარმოებს ცხელი ორთქლით.

მგზავრების გადაყვანაზე ქუთაისიდან წყალტუბომდე, გარდა „სოიუზტრანსის“ ავტობუსებისა, იმუშავებს კურორტის მანქანებიც. კურორტის დირექციამ მოსკოვიდან მიიღო დიდი ავტობუსი, რომელიც ავადმყოფების გადაყვანაზე გამოყენებული იქნება ქუთაის-წყალტუბოს გზის შეკეთების შემდეგ.

მოსკოვ-ტფილისს შორის

—

ეწყობა რადიო-ტელეფონით კავშირი

რადიო-ცენტრში დაწყებულია მუშაობა ტფილის-მოსკოვს შორის ორმხრივ სალაპარაკო რადიო-ტელეფონის მოსაწყობად. სამისოდ ტფილისის რადიოცენტრის სახელოსნო აწყობს სპეციალურ სადგურს (ასეთივე სადგური მოწყობილი იქნება მოსკოვში), რომელიც უახლოეს კვირეებში ამუშავდება.

ორ-მხრივ სალაპარაკო რადიო-ტელეფონის სადგურის ამუშავების შემდეგ, მავთულის ტელეფონი დატოვებული იქნება სათადარიგოთ, ჩატარებულ ცდებიდან გამოირკვა, რომ რადიო-ტელეფონით, ლაპარაკი იმის სავსებით მკაფიოდ და საჭიროების დროს შესაძლებელი ხდება ხმის გაძლიერება და შენელება მოლაპარაკე პირთა სურვილის მიხედვით



სურათზე: რადიო-დადგმულობის მონტაჟი ტფილის-მოსკოვს შორის ორ მხრივ სალაპარაკოდ.

ა.-კ. სას.-სამეურნეო ავიაციამ პირველი ადგილი დაიკავა

უკვე დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო ავიაციის საკავშირო კონკურსი. კონკურსის მსვლელობისას დადასტურდა, რომ საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო ავიაციამ პირველი ადგილი უკავია მთელ მსოფლიოში. არსად, არც ერთ ქვეყანაში, ავიაციას ისე ფართოდ არ იყენებენ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, როგორც ჩვენში.

საკავშირო კონკურსის ჩატარებიდან გამოირკვა, რომ **საბჭოთა კავშირის სასოფლო - სამეურნეო ავიაციაში პირველი ადგილი უკავია ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო ავიაციას.** ამიერ-კავკასიაში ავიაცია გამოყენებულია თესვაზე, წყალდიდობასთან ბრძოლაში, მალარიის წინააღმდეგ.

თვითმფრინავებით სწარმოებდა მინდვრის მავნებლებთან ბრძოლა, ტრაქტორებისათვის საჭირო საწვავი მასალის გადატან-გადმოტანა, აგრონომებისა და მეცხოველეების გადაყვანა იმ ადგილებში, სადაც ისინი სასწრაფოდ იყვნენ საჭირო, ფრინველების გადაზიდვა და სხვ. სხვათაშორის, თვითმფრინავების საშუალებით გადაზიდული იქნა მალარიით დაავადებულ რაიონების ჭაობებში გამბუზიას ჯიშის თევზი მოსაშენებლად (გამბუზია იკვებება მალარიის კოღოთი — ანოფელესით).

სასოფლო - სამეურნეო ავიაციის კონკურსის დროს გამოცხადებული იყო შეჯიბრება ცალკე თვითმფრინავების ეკიპაჟებს შორის. შეჯიბრების ძირითად და საყოველთაო (საკავშირო- ხელშეკრულების პირობებში შედიოდა: ფრენის ხანგრძლივობა, თვითმფრინავის სანიმუშოდ მოვლა-პატრონობა და ლაცვა, მუშაობის მაღალი ხარისხი (კარგად თესვა, მინდვრის მავნებლების აბსოლუტურად მოსპობა იმ ველებზე, რომელიც მიჩენილი ჰქონდა თვითეულ თვითმფრინავს) და სხვ.

საკავშირო კონკურსის შედეგების შეჯამებისას მუშაობის ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოგვცა ლ-18 თვითმფრინავმა (ტიპი „სტალ 2“) და მისმა ეკიპაჟმა — პილოტმა ამხ. **ბაშუკმა** და ბორტ-მექანიკოსმა — ამხ. **ვეტლიცინმა.** მათ თავისი თვითმფრინავით ჰაერში დაყვეს სას.-სამეურნეო ავიაციის ხაზით მომუშავე ყველა თვითმფრინავებზე უფრო დიდ ხანს, არ ჰქონიათ არც ერთი ავარია; მათ მიერ ჰაერიდან მიწაზე შესრულებული სამუშაო აღმოჩნდა უმაღლესი ხარისხის.

საკავშირო საკონკურსო ჟიურის დადგენილებით, თვითმფრინავის ეკიპაჟი დაჯილდოებულ იქნა საპატიო სიგელით, იარაღით და ფულადი პრემიით — 5.200 მანეთით

სურათზე: თვითმფრინავი ლ-18, რომელიც შეტანილია „სას.-სამ. ავიაციის საპატიო ფურცელზე“. მარცხნივ — პილოტი ამხ. **ბაშუკი** და მარჯვნივ — ბორტ-მექანიკოსი ამხ. **ვეტლიცინი.**

აგიტგადაფრენის ერთი შედეგი

—

მიღებულია ზომები ნაქერალის ტყეების დასაცავად

ქვემო რაჭას (ენუქიძის რაიონს) სამხრეთიდან იფარავს ნაქერალას ქედი, რომელიც დაფარულია დიდი და თითქმის გაუვალი ტყით. ეს ტყე რაიონს იცავს სამხრეთის ქარებისაგან და ქმნის რაიონში შესანიშნავ კლიმატიურ პირობებს, განსაკუთრებით მევენახეობის განვითარებისათვის. უკანასკნელ ხანებში ტყე თურმე დაუზოგველად იჩეხებოდა, ნაქერალას ქედის ზოგიერთი უბანი უკვე გაშიშვლებულია.

1-ლ მაისს ტფილისიდან ქ. ენუქიძეში (ამბროლაური) გადაფრინდა აგიტ-თვითმფრინავი, რომლითაც რაიაღმასკომის თავმჯდომარემ — ამხ. ვ. იმნაძემ მეორე დღეს შემოუარა რაიონს, რათა შეემოწმებია თესვისა და ხვნის მდგომარეობა რაიონში. რაიონის ფარგლებში მიმოფრენისას თვითმფრინავიდან მოხდა ნაქერალას ქედის ტყეების დაზვერვა; მაშინ ცნობილი გახდა ნაქერალას ტყეების გაჩანაგება.

ასეთი მდგომარეობის გამო რაიაღმასკომმა მიიღო დადგენილება ნაქერალას ქედზე ტყის გაჩეხვის აკრძალვის შესახებ. აღძრულია შუამდგომლობა ნაქერალის ტყეების განსაკუთრებული მნიშვნელობის ზონად გამოცხადების შესახებ.

ასეთი სამსახური გაუწია ერთმა საგიტაციო გადაფრენამ (პილოტი შ. ჩანკოტაძე, პილოტი-მეთვალყურე — ქართველიშვილი) ჩვენი სახალხო მეურნეობის ამ დარგს.

საკონკურსო პროექტების გამოფენები

—

გახსნილია 1-ლი გამოფენა

ტფილისში ამჟამად მიმდინარეობს მთელი რიგი დიდი მონუმენტალური შენობების აგება (სტალინის ინსტიტუტი, მთავრობის სასახლე, წიგნის სასახლე, დახლის მუშაკთა კულტურის სასახლე და სხ.), რომელთა გარეგნულ გაფორმებას დიდი მნიშვნელობა ექნება საერთოდ მთელი ქალაქის მხატვრული გაფორმებისათვის.

ამ მიზნით საქ. არქიტექტორების კავშირმა გადასწყვიტა ჩაატაროს თვითეული დიდი შენობის ასაგებად დამუშავებული საკონკურსო პროექტების გამოფენები. შენობების ასაგები პროექტების დამუშავებაში, გარდა ადგილობრივი არქიტექტორებისა, მონაწილეობას ღებულობენ საბჭოთა კავშირში გამოჩენილი არქიტექტორები (არქიტექტ. კოკორინი, შჩუსევი, ფომინი და სხვ.).

ამჟამად უკვე გახსნილია სტალინის ინსტიტუტის საკონკურსო პროექტების გამოფენა, რომელიც მოთავსებულია მხატვართა საგამოფენო დარბაზში (რუსთ. პრ., 10). გამოფენაზე შესვლა თავისუფალია.

პირველად ალბულახში

—

დაეშვა თვითმფრინავი

დამთავრდა საგიტაციო აგიტ გადაფრენა ლუქსემბურგ-ალბულაღ-წალკა-მუხრანის მარშრუტით. ალბულაღში თვითმფრინავი პირველად დაეშვა მოედანზე. თვითმფრინავის ჩასვლის გამო ახლად მოწყობილ დასაფრენ მოედანზე თავი მოიყარა დიდძალმა მოსახლეობამ. შესდგა სახელდახელო მიტინგი, რომელმაც მიიღო დადგენილება ალბულაღის მშრომელთა სახელობის ახალი თვითმფრინავის ასაგებად თანხების შეგროვების შესახებ.

პილოტი-მეთვალყურე პეისისი.

დაიცავით ქუჩაში მოძრაობის წესები

უკანასკნელ ხანებში მილიციამ შესამჩნევად გააძლიერა მუშაობა ქუჩაში მოძრაობის წესების დასაცავად. მოედნებზე და დიდი მოძრაობის ქუჩებზე გამოყოფილი არიან საგუშაგოები მოძრაობის წესების დაცვისათვის თვალყურის სადევნებლად. რამოდენიმე ადგილას მოწყობილია ეკრანი, ქუჩაში მოძრაობის შესახებ მოკლემეტრაჟიანი კინო-ფილმების საჩვენებლად.

სურათზე: დამკვრელი მილიციელი ამხ. ყურუაშვილი, რომელიც სანიმუშოდ იცავს მოძრაობის წესებს ბრძოლისა და მუშტაიდის ქუჩების კუთხეში. ქვემოდ—დამკვრელი მილიციელი ამხ. ოგანეზოვი (სადგ. მოედანი) ჩამოსულებს აძლევს ცნობებს.

100 ტონა ყინული დღეღამეში

დიდუბეში დამთავრდა ახალი საყინულე ქარხნის აგება, რომელიც უახლოეს დღეებში ამუშავებული იქნება სრული სიმძლავრით, ქარხნის აგება გამოწვეული იყო იმით; რომ ტფილისში არსებული საყინულე ქარხნები ვერ აკმაყოფილებდენ მოთხოვნას და ტფილისი ზაფხულობით ყინულის ნაკლებობას განიცდიდა.

800 კილოვატიანი ტრანსფორმატორის მონტაჟი ახალ საყინულე ქარხანაში

ახალი საყინულე ქარხანა დღეღამეში დაამზადებს 100 ტ. ყინულს, ყინულით პირველ რიგში უზრუნველყოფილი იქნებიან— საავადმყოფოები, გრილი წყლის გამსაღებელი სავაჭროები და ბოსტნეულისა და ხილის საწყობები.

სასწავლო წლის დამთავრების ვადა

—

დაწყებითი და საშუალო სასწავლებლებში

საქართველოს განსახკომის განმარტებით, ტფილისის, ქუთაისის, ბათომის, სოხუმის, ფოთის და სტალინისის დაწყებითი და საშუალო სკოლებში წლიური გამოცდები დაიწყება 25 მაისიდან და დამთავრდება: დაწყებით სკოლებში 5 ივნისს, ხოლო მეორე საფეხურის სკოლებში 15 ივნისისათვის. ყველა დანარჩენ ადგილზე წლიური გამოცდები დაიწყება 5 ივნისს და დამთავრდება: დაწყებითი სკოლებში 15 ივნისს, ხოლო მეორე საფეხურის სკოლებში — 25 ივნისს.

ბიბლიოგრაფია

აღვკვეთოთ ბოლშევიზმის ისტორიის ვულგარიზაცია

პარტიის ისტორიის „შესწავლის“ მიზნით ხშირად ადგენენ სხვადასხვა სახის უხეირო კონსპექტებს, რაც მკითხველს საშუალებას უსპობს — **საფუძვლიანად გაიცნოს და შეისწავლოს საკ. კ. პ. (ბ) ისტორია.**

ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთერთ ასეთ უხეირო, შეიძლება ითქვას — მავნე კონსპექტს, რომელიც გასულ წელს დაიბეჭდა გაზ. **„წითელ არმიელში“** და შემდეგ ბროშურად გამოსცა საქ. რესპუბლიკის მილიციის მთავარ სამართველოს პოლიტგანყოფილებამ.

კონსპექტში, მაგალითად, ვკითხულობთ: „მეორე ყრილობა შესდგა ქ. ლონდონში 1903 წ. 30 ივლისს... დღის წესრიგში იდგა 20 საკითხი. მეორე ყრილობაზე მოხდა რ. ს. დ. მ. პ. გათიშვა ორ ბანაკად: ბოლშევიკებად და მენშევიკებად“. არც ერთი სიტყვა ამ გათიშვის მიზეზებისა და ლენინის როლის შესახებ აქ არაა ნათქვამი. საკითხავია: რა უნდა მისცეს ასეთმა „კონსპექტმა“ მკითხველს?

ასე უმზგავსოდ და დამახინჯებითაა განმარტებული „კონსპექტში“ პარტიის სხვა ყრილობათა როლი და მნიშვნელობა ბოლშევიზმის განვითარების ისტორიაში. და ამ დომხალს თან ახლავს უპასუხისმგებლო, წინასიტყვაობა **ვლ. სალიბეგაშვილისა.** წინასიტყვაობის ავტორი წერს: „წინამდებარე ბროშურის მიზანია ხელი შეუწყოს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპების **ფართო პოპულარიზაციას** მ. გ. მილიციის პირად შემადგენლობაში, რაც შესაძლებელს გახდის თითოეულ პარტიის წევრ - კანდიდატთათვის, კომკავშირელთათვის და დაინტერესებულ უპარტიო აქტივისათვის, გარკვევით იცოდენ საკ. კ. პ. (ბ) ყრილობები და ამ ყრილობებზე დამუშავებული ძირითადი საკითხები. აღნიშნული ბროშურა დიდად შეუწყობს ხელს მარქსისტულ - ლენინურ წრეებში და მთლიანად პარტგანათლების ქსელში ჩაბმულ ამხანაგებსაც“.

ზემოთმოყვანილ ორიოდე მაგალითიდანაც კი გასაგებია, თუ რა დახმარებას გაუწევს ასეთი „კონსპექტი“, სადაც საცოდავათაა შეკოწიწებული პარტიის ყრილობათა მნიშვნელობის ოპორტუნისტული განმარტებანი და შეფასებანი, პარტიის წევრებსა და კანდიდატებს თავიანთი თეორიული დონის ამაღლებაში.

ამ „კონსპექტის“ შემდგენთ და გამომშვებთ უნდა მოეთხოვოს პასუხი. მომავალში კი შედგენა ასეთი „კონსპექტების“, რომლებიც ავულგარიებენ ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლის საქმეს, უნდა აღიკვეთოს.

ალ. სტეფანიშვილი.

ახალი წიგნები

ვ. ბადრიშვილი თესლთა ბრუნვა, ტირ. 3000; ფასი 1—25 კაპ.

ალ. გედიაშვილი და **ლ. მელითაური** მეღორეობა კოლმეურნეობებში, ტირ. 5000; ფ. 75 კაპ.

ავალიშვილი და **გედიაშვილი** როგორ გავადიდოთ ძროხის წველადობა;

ვ. ბერლინი როგორ უნდა ჩატარდეს პოლიტმეცადინეობა ჯგუფ ხელთათვის.

ი. ქურდიანი თამბაქოს პლანტაციის მოვლა და მოსავლის აღება. ტირაჟი 2000; ფასი 40 კაპ.

ამ.-კავკ. ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადის წინ

—

როგორ ჩატარდება ოლიმპიადა

26 აპრილს ამხ. ს. ახმეტელის თავმჯდომარეობით შესდგა ხელოვნებათა ამიერ-კავკ. ოლიმპიადის ჩამტარებელი სამხატრო - საორგანიზაციო კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა ოლიმპიადის ჩატარების გეგმის პროექტი.

თათბირზე მიღებული გეგმის თანახმად, ოლიმპიადის მონაწილენი ყველა რესპუბლიკებიდან ტფილისში უნდა შეგროვდენ 31 მაისს. 1-ლ ივნისს გაიმართება ოლიმპიადის მონაწილეთა კარნავალი, რომელიც საზეიმოდ იქნება გაფორმებული. კარნავალი გაივლის ტრიბუნასთან მთავრობისათვის პატაკის ჩასაბარებლად, ხოლო შემდეგ ყველა მონაწილენი თავს მოიყრიან ოპერის თეატრში, სადაც შესდგება ოლიმპიადის ოფიციალურად გახსნა.

ოლიმპიადა გაგრძელდება 6 დღეს. დამუშავებულია ხელოვნების ნიმუშთა ჩვენების კალენდარული გეგმა (პირველ დღეს—ცეკვა. მეორე დღეს—სიმღერა და ა. შ.). იმ დღეს, როცა ოლიმპიადის მონაწილეთა ერთი ჯგუფის გამოსვლა დანიშნული იქნება ოპერის თეატრში, დანარჩენი ჯგუფების გამოსვლა მოეწყობა მუშათა კლუბებში.

6 ივნისს ფედერაციის მოედანზე, რომელიც იმ ხანებში სათანადოდ იქნება გაფორმებული, მოეწყობა ოლიმპიადის მონაწილეთა საფინალო მასობრივი გამოსვლა და ჯილდოების დარიგება.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

— 10 მაისს, საღამოს 8 საათზე მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) შესდგება **ეგ. ნინოშვილის** გარდაცვალების 40 წლისთავის აღსანიშნავი საღამო შემდეგი პროგრამით:

1. „ე. ნინოშვილის შემოქმედება“ — მომხსენებელი **შ. რადიანი;**
2. სიტყვებით, მოგონებებით და ნინოშვილისადმი მიძღვნილ ლექსებით გამოვლენ საბჭოთა მწერლები.

შესვლა მხოლოდ მოსაწვევი ბარათებით. მწერლები ბარათებს მიიღებენ მწერალთა სასახლეში.

ფიზკულტურა და სპორტი

— **7 მაისს** „დინამო“-ს სტადიონზე ჩატარდა უკანასკნელი შეჯიბრება ლენინგრადის მანქანათმშენებელ ქარხნის ფეხბურთელთა გუნდთან. ტფილისის მხრიდან თამაშობდა „დინამო“. შეჯიბრება ძალზე საინტერესო გამოდგა და დამთავრდა ტფილისელების ბრწყინვალე გამარჯვებით 3:0.

— **12 მაისს** იწყება ფეხბურთში საქალაქო პირველობის გათამაშება, რაშიაც მონაწილეობას მიიღებენ „დინამო“, პროფკავშირები, ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის და წ. არმიის გუნდები. თითო უწყება გამოიყვანს ორ-ორ გუნდს, საქალაქო პირველობის გათამაშება უნდა დამთავრდეს 24 მაისამდე, რის შემდეგაც განზრახულია მოეწყოს პირველობის გათამაშება რესპუბლიკის მასშტაბით.

— **16, 17 და 18 მაისს** ფიზკულტურის ტფილისის საბჭო ატარებს საქალაქო შეჯიბრებას მძლეოსნობაში.

— **24 მაისს** განზრახულია მოეწყოს საქალაქთაშორისო შეჯიბრება კრივში ტფილისის და როსტოვის ფიზკულტურელებს შორის.

— **მაისის დღესასწაულებზე** ბაქოში გაემგზავრა ლენრაიონის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც იქ ჩაატარებს სამ შეჯიბრებას. პირველი მატჩი ბაქოს ლენრაიონის გუნდთან (ყოფ. „პროგრესი“) დამთავრდა ტფილისელების გამარჯვებით 3:1.

— **ბათომის** ფიზკულტურის საბჭოს მიწვევით ბათომში მიემგზავრება ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“.

პარტკალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტთან არსებული პარტკოლეგია წინადადებას აძლევს აბუანძე გიორგი ამბაკოს-ძეს 3 დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში (რუსთაველის პრ. № 23, მეორე სართ., ოთ. № 30) ამხ. მეგრელიშვილთან

— დღეს, საღამოს 8 საათზე სტალინის რაიკომთან (პლეხანოვის, 121) არსებულ პარტგანათლების სახლში შესდგება პარტკომის მდივნების კურსების მორიგი მეცადინეობა.

სახ. ოპერა

დღეს აბონ. გარეშე პრემიერა **ოტელო** 7 მაისისათვის აღებ. ბილეთები ძალაშია.	10 მაისს 2 აბონ. 19 წარ. უკანასკნელად **დუბროვსკი**	11 მაისს აბ. გარ. საღამო ე. ნინოშვილის გარდაცვ. 40 წ. თავის აღსანიშნავად მარჯანიშვილის სახ. თეატრ წარმოდგენა **ნინოშვ. გურია**

აბონენტები, რომელთაც მთლიანად არ აქვთ დაფარული საბონემენტო გადასახდელი, წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

რუსთაველის თეატრი სახელმწ. აკადემიური

9 მაისს 1 აბონ. 9 წარ. **ლამარა**	10 მაისს 2 აბონ. 9 წარ. **ლამარა**	11 მაის 6 აბონ. 9 წარ. **ლამარა**

დარჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში სალარო ღიაა 11—2 ს. 6—9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

11 მაისს სახ. ოპერის თეატრში **ნინოშვილის გურია**

მზადდება „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“ დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ. სალარო ღიაა დილის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.

დამკვრელი **რ. ლიუქსემბურგის** **სპარტაკი**	სახკინმრეწვის ახალი მხატვრ ფილმი **„უკანასკნელი ჯვაროსნები“** ავტორი-რეჟისორი სიკო დოლიძე, ოპერატორი ა. დიღმელოვი. მთავარ როლებში: ნატა ვაჩნაძე, ს. ზაქარიაძე, არაბიძე, აბესაძე, კვანტალიანი, ხოფერია. დასაწ. 6-30, 8-30, 10-30
ოქტომბერი სეანს 6-30, 8-30, 10-30.	სოფიო მაგარილი მხატვრ. სურათში **ორი შეხვედრა**
ტემპი სეანს 6, 7-30, 9, 10-30.	მხატვრული ფილმი **ზღვის ტყვეები**
„ზრ..“-ის სახელობის სეანს 6-30, 8-30, 10-30.	ხმოვანი კომედია **ტიკინები**

ტფილისის გაერთიანებული ს. სამართლოს აღმასრულებელი **პ. ჭეიშვილი** ამით აცხადებს რომ 1934 წ. 9 მაისს დღის 2 საათზე ქ. ტფ. პლეხანოვის ქუჩაზე 86 №-ის სახლში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

პროფ. კოოპერაციის კლუბის ქონებას: პიანინოს. ეს ქონება შეფასებულია 1500 მან. და გაიყიდება სტალინის სახ. თავდაცვა რაისაბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად გაერთიანებული სასამართლოს დადგენილებისა 1933 წ 20/X № 10507-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.

2913 სასამართლოს აღმასრულებელი **ჭეიშვილი.**

საქართველოს ცენტრ. საარქივო სამმართველოსთან (ლენინის ქ. № 48, ტელ № 19—79) ა/წ. 10 მაისიდან

იხსნება ორ თვიანი საისტორიო-საარქივო კურსები

(ორი სექციით: ქართული და რუსული)

მომქმედ დაწესებულებათა საარქივო მუშაკების მომზადება-გადამზადების მიზნით.

ყველა სახელმწიფო პროფესიონალურ, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა ორგანიზაციების (სახკომატების, სამეურნეო საგეგმო ორგანიზაციების უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საგამოკვლევო ინსტიტუტების და სხვ.) ხელმძღვანელებს ევალებათ ჰოგზავნონ კურსებზე თავიანთი არქივის მუშაკები, ან მათი შემცვლელი კანცელარიის მომუშავენი.

კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს საღამოს 5—10 საათამდის.

ნ. 173 **დირექცია.**

მაისიდან რეორგანიზებული სახით გამოვა

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ორკვირეული მასობრივი სახელმძღვანელო ჟურნალი

„პარტიული მშენებლობა“

რომელიც გათვალისწინებულ იქნება რაიონულ და ძირეულ პარტაქტივზე.

ჟურნალი გააშუქებს პარტიის რაიკომების პარტ-ინსტრუქტორების და პირველად პარტიულ ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებებს და მოათავსებს სახელმძღვანელო ხასიათის წერილებს პარტიულ მუშაობის საკითხებზე.

ხელის მოწერა მიიღება ფ/ტ. ყველა განყოფილებებში და საგაზეთო კიოსკებში.

უფ.

ექიმი

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წ. დაამთავრა „ხილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრო-ორთოსვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ ძნელაძის ქ. (ყოფ. საბიორის) 19, იღებს დილით 10—1 ს. და საღ. —8 ს. მესამე [illegible] ძნელაძის შესახვევიდან.

25—11

ექ. ს. გ. დილბანჯი

სპეც. შარდ. სასქესო, ვენერიული და კანის სნეულებანი და სქესობრივი უძლურების მკურნალობა. მიღ. დილით 9—10 ს, საღ. 6—8 ს. თეატრალური შეს. № 11 ტფ. სახ. ოპერის თეატრის გვერდით

5—1 2892

ვამზადებთ მოწაფეებს

10 წლ. და 7 წლ. საექსტერნო გამოცდებისათვის, მომავალ სექტემბერსა და იანვრისათვის. აქვე ვამზადებთ ყველა ტიპის სასწ. შესასვლელ გამოცდებისათვის, კარგარეთელის ქ. № 3ა (კინო „ოქტომბერის“ მახლობლად) დილით 10 საათამდე საღ. 4-5 ს.

5-1 161

დაიკარგა **გოგი ყორანაშვილი** 11 წლის, ძაღგვრემანი, [illegible] ტანის, სუსტი, ეცვა ლურჯი ბლუზა, თავზე „ბუდიონოვკა“. მნახველს ვთხოვ მაცნობოს: ტფილისი „სოიუზხლოპკომბ.ტი“ს სამხარეო კანტორაში—ა. ყორანაშვილს 987

დაიკარგა ინვალიდთა კოოპერატიული არტელი „ახალი ცხოვრებას“ რგვალი ბეჭედი, ჩ გ. 2916

დამწუხრებულნი: ცოლი ოლია, შვილი მარგალიტა, დები: მაკრინე. სალომე იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა დაუვიწყარი
ისიდორე ექვთიმეს-ძე პაპავა
დაკრძალვა 10 მაისს სამტრედიაში. 2918

გულმოკლული ძმისშვილები: ოლღა, პელო, რაფიელ, რძალი ქსენია პაპავები, სიძე ვ. ცაგარეიშვილი იუწყებიან საყვარელ
ისიდორე ექვთიმეს-ძე პაპავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა სამტრედიაში 10 მაისს, კოოპერატივის ქ., 10. 291

დამწუხრებული მამიდები: კესა ჩოჩია, ესმა, შვილი ეორგით კილასონიები იუწყებიან ძვირფას, დაუვიწყარ აბაშის ტექნიკუმის მესამე კურსის მოწაფის
ვალიკო დიმიტრის-ძე ჩოჩიას
გარდაცვალებას. 2906

დამწუხრებული დედა ანეტა, და ლიდა, ძმა არდაშელი იუწყებიან საყვარელ
მარუსია ნესტორის-ასულ ზაქარაიას
უდროოდ გარდაცვალებას. 2933

დაქვრივებული ცოლი ელენე, შვილი ლია, სიდედრი მარიამი, სიმამრი კირილე [illegible]ელიანები შვილებით იუწყებიან ძვირფას
ბორის ვასილის-ძე შენგელიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 9 მაისს 5 ს. მარტის ქ., 4. 2933

დამწუხრებული პროფესორის, შრომის გმირის
მოსე გიორგის-ძე ჯანაშვილის
ოჯახი უღრმეს მადლობას უძღვნის საქ. სახ. უნივერსიტეტს, დაწესებულებებს და საზოგადოებას მხურვალე თანაგრძნობისათვის. 2924

დამწუხრებული მშობლები: მინა, დომიკო, შვილებით: გერონტი, ვახტანგი, ანიჩკა, თამარი, სიძეები იუწყებიან, რომ 10 მაისს კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ვასო მაცაბერიძის
სამოქ. პანაშვიდი. 2911

გულდათუთქული მამა ნესტორი, ძმები: სერგო, ისაკი, რძლები: ელიჩკა, სონია იუწყებიან
ალექსანდრე ნესტორის-ძე ბახტაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 10 მაისს, 5 საათზე. ორჯონიკიძის ქუჩა, 108, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2928

ღრმად დამწუხრებული სიდედრი, ცოლის ძმები — ცოლშვილით ცოლისდა ელენა ჭიარიშვილით ზუზუბაძეები ოლღა თავის ქმარშვილით ხუციშვილები, დები ქმარშვილით იუწყებიან ძვირფას
ვალიკო სხილაძის
გარდაცვალებას. 2923

მე-31, მე-6 და საქ.-საფ. 7-წლედის მოწაფეები და მასწავლებლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე სკოლის მე-7 ჯგუფის მოწაფის
ელენე გერაიას
გარდაცვალების გამო. 2929

დამწუხრებული დედა ეკატერინე, ცოლი პოლინე, შვილები და ძმები იუწყებიან მეუღლის დაუვიწყარ
ვალიკო სხილაძის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ს. ილეთში, 12 მაისს. 2923

დამწუხრებული მეუღლე ეფროსინე, შვილები: შალვა, დავითი, მიხეილი, ვერიკო ნინა, რძლები: ლუბა, აგრაფენა, ქსენია, იუწყებიან საყვარელ
ირაკლი გაბრ-ძე მარგველაშვილის
გარდაცვალებას. 172

ღრმად დამწუხრებული მშობლები, ძმები იუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ
ლუკა ივანეს-ძე ეჯიბაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარი სახლიდან, 1-ლი ნაზაროვის ქ., 56, 9 მაისს, საღამოს 5 საათზე. 2930

სახელგამის მე-7 მაღაზიის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე მაღაზიის თანამშრომლის ამხ. კოლია გრანკოვსკის მამის
ვლადიმერ იაკობის-ძე გრანკოვსკი
გარდაცვალების გამო. 2931

დამწუხრებული ცოლი კატუშა, შვილები: გივი, გოგუცა, ეთერი იუწყებიან დაუვიწყარ
ალექსანდრე ნესტორის-ძე ბახტაძის
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 9 მაისს, 7 ს. ორჯონიკიძის ქ., 108, გამოსვენება 10 მაისს, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 2928

ვალიკოსა მეზობლები: ვასო, გენია; მელუები, სევასტი, ლიდა კალანდაძეები, მაღრაძეები, გაჩეჩილაძეები იუწყებიან ძვირფას ამხანაგის
ვალიკო სხილაძის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ს. ილეთში, 12 მაისს. 2923

„საიუზპეჩატი“-ს საქართველოს განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ თანამოსამსახურე დავით მარგველაშვილს მისი მამის
ირაკლი გაბ-ძე მარგველაშვილის
გარდაცვალების გამო. დასაფლავება 10 მაისს, ქუთაისში მესამე ინტერნაციონალის ქ., 150. 172

ძმები: ილია, დავით თავზარაშვილები მეუღლეებით, ლიზა, ანასტასია, შვილებით: თამარი, ზურაბი, კოტე, დავითი, ანტონით იუწყებიან
ოლღა თავზარაშვილი-ურჯმაზოვის
გარდაცვალებას. გამოსვენება 9 მაისს, ბაზრის ქ., 1. 2905

სურამის დასასვენებელი სახლის მშენებლობის მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით იუწყებიან მშენებლობის თანამშრომლის
ბორის დიმიტრის-ძე შალიბინის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 მაისს სურამში. 2907

მწუხარებაში მყოფნი: რძალი ანეტა, ძმის შვილები: აკაკი, საშა, თავის ცოლშვილით იუწყებიან საყვარელ მამიდის
მელანო ჩაკვეტაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 8 მაისს, ქ. ხონში. 2912

საქართველოს სოცუზრუნველყოფის სახკომისარიატის თანამშრომლები მძიმე მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე კომისარიატის თანამშრომლის, ამხ. ალექსანდრე ვასილის-ძე რუხაძის დის
ოლია რუხაძე-აბდალაძის
გარდაცვალების გამო. 2904

„ზიპსის“ სამშენებლო ფაკულტეტის მე-22 ჯგუფის სტუდენტები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ჯგუფის სტუდენტ, მიშა ქორჩაშვილის ძმის
სიმონის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ს. საქარაში. 2932

დამწუხრებული ცოლი ედუკი, შვილები: ირაკლი, მარო შენგელიები, სიდედრი დარიკო, ცოლისდა ნინა თავართქილაძეები იუწყებიან, რომ 11 მაისს, 5 ს., ს. კულაშში დანიშნულია
კოტა გუგას-ძე შენგელიას
სამოქ. პანაშვიდი. 2935

დამწუხრებული მეუღლე პელაგია, შვილები: ვანო, დარეჯანი იუწყებიან, რომ 12 მაისს, 3 ს. ს. ბახვში დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი დაუვიწყარ
იესე გაბრატის-ძე ფჩელაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 2822

ტფილისის ტრამვაის ტრესტის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მათ თანამშრომელ ელისაბედ არტემის-ასულ ოთაროვას, მისი მამის
არტემ არტემის-ძე ოთაროვის
გარდაცვალების გამო. 2915

ბიძა ვასო, ბიცოლა რაისა, ბიძაშვილები: ვახტანგი, ანეტა, ქეთო რობაქიძეები მწუხარებით იუწყებიან საყვარელ
თინას
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ბელინსკის ქ., 23, 9 მაისს, 4 ს. 2919

ღრმად დამწუხრებული გიორგი იორდანეს-ძე მირიანაშვილი ცოლით სონიათი, და შვილებით: ნელიკო, მიშიკოთი იუწყებიან ძვირფასი დედის
თინა მირიანაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 11 მაისს, მაჩაბლის ქ., 16. 2920

დედა ალათი, ძმა სანდრო, და ფაშო, რძალი ნინუცა, ძმისწული გრიშა იუწყებიან
მარო ვახტანგის-ასულ გულავას
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 6 ს., ალექსანდროვის საავადმყოფოდან, დაკრძალვა 13 ს. ონტოფოში. 2921

„საქვაჭრობის“ და „საქკვებვაჭრობის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან
ლენა გიორგის-ასულ ბერაიას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ ხობში, 9 მაისს. 922

დამწუხრებულნი: დედა ოლია, დები: ძაბა, ზინა, თამარა, ნუნუ, ძმა მიტუშა იუწყებიან ძვირფას
ვალიკო დიმიტრის-ძე ჩოჩიას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 მაისს აბაშაში. 2906

დამწუხრებულნი და მაკრინე, სიძე სპირიდონი მელქაძეები შვილებით და შვილიშვილებით იუწყებიან საყვარელ ძმის და ბიძის
ისიდორე ექვთიმეს-ძე პაპავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა სამტრედიაში, 10 მაისს. 2914

თავზარდაცემული მამა ვასილი, დები: ეგენია, ნინა, ძმები: შალვა, ალექსანდრე, ნიკოლოზი, დავისტირით ძვირფას დაუვიწყარ
ოლია რუხაძე-აბდალაძის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში. 2884

გაუბედურებული მშობლები: მაგდანე, ონოფრე და ეფროსინე, ძმები: ვანო ცოლშვილით და ყარდენი კეჭაღმაძენი იუწყებიან, რომ 13 მაისს ს. ზედობანში დანიშნულია
პორფილე კეჭაღმაძის
სამოქ. პანაშვიდი. 2918

სტამბა „კომუნისტი“ ჯამბ. ქ. №68

მთავლიტის რწმუნებული ჴ 1638